

501  
1979

სოფლის მეურნეობის სამინისტრო  
Министерство СЕЛЬСКОГО ХОЗЯЙСТВА СССР

წითელი დროშის ორდენისანი  
სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი



ქართული  
ინსტიტუტი

Грузинский ордена Трудового Красного Знамени  
сельскохозяйственный институт

სამეცნიერო შრომები ტ. 111 ტ. НАУЧНЫЕ ТРУДЫ

მეაბრეშუპეობა და მეთუთაობა  
ШЕЛКОВОДСТВО И ТУТОВОДСТВО

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო  
МИНИСТЕРСТВО СЕЛЬСКОГО ХОЗЯЙСТВА СССР

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი  
საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი  
Грузинский ордена Трудового Красного Знамени  
сельскохозяйственный институт



ქართული  
ინსტიტუტი

სამეცნიერო შრომები ტ. III ტ. НАУЧНЫЕ ТРУДЫ

**შეპყობა და მეთეთობა  
ШЕЛКОВОДСТВО И ТУТОВОДСТВО**



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

სამეცნიერო შრომები მიძღვნილია საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დაარსებიდან 50 წლისთავისადმი

Научные труды посвящены 50-летию со дня основания Груз. СХИ

მეაბრეშუმეობა-მეთეთეობის სერიის ტომის მასალები განხილულია მეაბრეშუმეობის სასწავლო-კვლევითი ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე და მოწონებულია შრომის წითელი ღროშის ორდენისანი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიერ.

Материалы сборника по тутоводству и шелководству рассмотрены на Ученом совете учебно-исследовательского факультета шелководства и одобрены Ученым советом Грузинского ордена Трудового Красного Знамени сельскохозяйственного института.

მთავარი რედაქტორი აკად. ვ. შეტრეველი

სარედაქციო კოლეგია: ე. ბაბურაშვილი, ჯ. ბობოხიძე (პ/მგ. მდივანი), პროფ. ი. დოლიძე, დოც. გ. ჯვიადაძე (მთ. რედ. მოადგილე), ეკონ. მეცნ. დოქტ. გ. ნიკოლეიშვილი, დოც. შ. ღვინეფაძე, დოც. ა. ძნელაძე.

Главный редактор акад. В. И. Метрели

Редакционная коллегия: Э. И. Бабурашвили, Дж. П. Бобохидзе (отв. секретарь), доц. Ш. К. Гвинепაძე, доц. А. Н. Дзиеლადзе, проф. И. М. Долидзе, доц. Г. Э. Звиаდაძე, док. экон. наук Г. В. Ни-  
колейшвили.



16.331

УДК 634, 38 : 681 . 14

ბ. ზვინაძე

**თუთის საძირისა და სანამყენეს გავლენა  
 ღებოსა და ფესვების ზრდაზე**

საქართველოს მეაბრეშუმეობის საკვები ბაზის აღდგენისათვის საჭიროა დიდი რაოდენობით თუთის ხის სარგავი მასალის გამოზრდა. ამასთან, სარგავი მასალა უნდა იყოს წვრილფოთოლა სიხუტუჭით დაავადებისადმი შედარებით გამძლე ჯიშებისა. ჯიშიანი სარგავი მასალის გამოზრდის ორი წესი არსებობს: 1. ნამყენი ნერგის მიღება სანერგე სკოლაში მყნობის სხვადასხვა ხერხის გამოყენებით და 2. საკუთარფესვიანი ნერგის მიღება გადაწვენითა და კალმის დაფესვიანებით.

მყნობა მცენარეთა ვეგეტატიური გამრავლების ერთ-ერთი უძველესი წესია. მყნობა მებაღეობაში გამოიყენებოდა რამდენიმე ათასი წლის წინათ და პირველად ფინიკიელებისა და ჩინელებისაგან იყო ცნობილი. შემდეგში მის ხელოვნებას გაეცნენ კართაგენელები, ძველი ბერძნები და რომაელები, უფრო გვიან კი მყნობა ცნობილი გახდა მთელ ევროპაში. მრავალ წყაროში არის დადასტურებული, რომ მყნობა, როგორც ხელოვნება, ფართოდ გამოიყენებოდა მიწათმოქმედების უძველესი კულტურის მქონე აზიური ხალხების მიერ და შემდგომში მოხსენებულია პლინიუს დიდის, ვირგილიუსისა და სხვა რომაელი მწერლების მიერ.

მყნობა ერთი მცენარის ტოტის ან კვირტის მეორე მცენარეზე შეხორცების პროცესია. შეხორცებას აგრეთვე უწოდებენ გადანერგვას და მას საერთო სახელწოდება აქვს — ტრანსპლანტაცია. საძირე და სანამყენე ნამყენი მცენარის ძირითადი ნაწილები ანუ მისი კომპონენტებია. სამყნობი კომპონენტების, ანუ სანამყენესა და საძირეს შორის შეხორცების წარმატებით განხორციელებისათვის მარტო ბოტანიკური ნათესაობა არ არის საკმარისი. ამისათვის აუცილებელია ორივე კომპონენტს ჰქონდეს ფიზიოლოგიურად შეთავსების უნარი. საძირისა და სანამყენეს ურთიერთგავლენის შედეგი ცვალებადობს აფინიტეტის ხარისხთან დაკავშირ-



რებით, რაც საძირისა და სანამყენეს ბიოლოგიურ შესაბამისობას ნიშნავს აფინიტეტი ესაა სანამყენესა და საძირის ანატომიურად სწორი და მექანიკურად მკვრივი შეხორცება, რითაც უზრუნველყოფილია მათ შორის ნივთიერებათა ცვლის და სხვა სასიცოცხლო პროცესების რამალური მსვლელობა.

საძირისა და სანამყენეს ურთიერთგავლენის მნიშვნელობის შესახებ მითითებულია ჯერ კიდევ ჩ. დარვინის შრომებში. XIX საუკუნის ბოლოს ი. მიჩურინმა განავითარა დარვინის შეხედულებანი მცნობის გზით ჰიბრიდების მიღების შესახებ. ი. მიჩურინმა მცნობის ოპერაცია დასახა მცენარეთა გარდაქმნის ერთ-ერთ საშუალებად. მან ჩამოაყალიბა ისეთი მეთოდები, როგორიცაა დროებით ვეგეტატიური დაახლოება, მენტორი და სხვა, რაც გულისხმობს, ახალგაზრდა ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელ მცენარეთა გამოზრდას. ამ მიზნით ი. მიჩურინი ჩამოყალიბებულ, სტადიურად ხნიერი მცენარეების ვარჯში ამცნობდა სტადიურად ახალგაზრდა მცენარის კალამს და კომპონენტთა ურთიერთქმედების გზით იღებდა განსხვავებულ ფორმებს. ჩამოყალიბებული, სტადიურად ხნიერი კომპონენტების მცნობისას, ასეთგვარ გარდაქმნებს აღგილი არა აქვს და მცენარე ინარჩუნებს ჯიშისათვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს. თუ სტადიურად ხნიერი სანამყენე ემცნობა ჩამოუყალიბებელ საძირეზე—ცვლილებანი მეტ შემთხვევაში უმნიშვნელო ხასიათისაა. მიუხედავად ამისა, მცნობას გარკვეულ ფარგლებში მაინც შეუძლია გავლენა მოახდინოს ჩამოყალიბებულ კომპონენტებზე და რამდენადმე შეცვალოს მისი ნიშან-თვისებები.

ამგვარად, სამცნობი კომპონენტების ურთიერთგავლენა შეიძლება ორგვარი ხასიათის იყოს: ა) როცა საძირის გავლენით იცვლება სანამყენეს მემკვიდრული ნიშან-თვისებები და ბ) როცა საძირის გავლენა სანამყენეზე ან პირიქით, დროებითი ხასიათისაა და მემკვიდრეობით არ გადაეცემა.

უკანასკნელი 30—40 წლის განმავლობაში, როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ, უამრავი ფაქტიური მასალა დაგროვდა, რითაც აშკარად მტკიცდება საძირესა და სანამყენეს ურთიერთგავლენა. დადგენილია, რომ ხეხილოვანი კულტურების ცალკეულ საძირეთა ფესვთა სისტემა განსხვავებულ სიღრმეზე ვითარდება და საკვები ხსნარის სხვადასხვაგვარი შეწოვის უნარით ხასიათდება. იაპონელი მკვლევარები [11] ასკვნიან, რომ თუთის ცალკეული სახეობის ფესვთა სისტემა სიღრმით 8 მ, ხოლო ჰორიზონტალურად 3 მეტრზე ვრცელდება.

გამოკვლევებით დადგინდა, რომ სანამყენეში ბიოქიმიური და ფიზიოლოგიური პროცესების მიმართულება და სისწრაფე ბევრადაა დამოკიდებული საძირეზე. საძირის გავლენით სანამყენეში იცვლება წყლის, ნახშირ-

წყლების, ასკორბინმჟავასა და აზოტის შემცველობა, ფოტოსინთეზის პროცესი. დადგენილია ისიც, რომ ფესვთა სისტემა მარტო საკვებობისა და რის შეწოვის ფუნქციას კი არ ასრულებს, არამედ მასში შეჭრის ალკალოიდებისა და ამინომჟავების სინთეზი. იაპონელი ბოტანიკოსი [13] მიუთითებს, რომ თუთის მცენარის ტოტების გადაჭრის შემდეგ ფესვთა სისტემის ნორმალური ფუნქციის აღდგენა დაკავშირებულია გადანაჭერი ადგილებიდან კვირტის გაშლისა და ყლორტის ზრდის დაწყებისაგან. გადაჭრილი თუთის საძირის ფესვთა სისტემა რომ ნორმალურად ფუნქციონირებდეს, სანამყენე ზრდის პროცესში უნდა იმყოფებოდეს. ეს საძირისა და სანამყენეს ურთიერთგავლენის სანიმუშო მაგალითია.

მეხილეობისა და მევენახეობის ხაზით უკანასკნელ წლებში მიღებულია მრავალი საინტერესო შედეგი პ. ს. გელფანდბენის, ე. ვ. კოლესნიკოვის, ვ. ა. კოლესნიკოვის, ა. ს. კრუჟილინის, დ. ი. ნიკოლაევის, ... ტარასენკოსა და სხვათა მიერ [1, 7, 8, 9, 12, 15], რაც იმის საფუძველს იძლევა, რომ საძირესა და სანამყენეს ურთიერთგავლენა უფრო ფართოა, ვიდრე ახლო წარსულში ჰქონდათ იგი წარმოდგენილი. დადგენილია, რომ საძირე შედარებით ნაკლებად ცვლის სანამყენეს ფენოლოგიური ფაზების დაწყების ან დამთავრების ვადებს, აგრეთვე ნაყოფის მომწიფების ვადას, რაც უფრო მეტად გარემო პირობებზეა დამოკიდებული. საძირე ყოველგვარ პირობებს განსაკუთრებით ნიადაგობრივი პირობების სხვადასხვაობას ერთნაირად ვერ ეგუება. საძირის დამოკიდებულება განსხვავებულია ფხვიერი და მშრალი, მკვრივი და ნესტიანი ან მლაშე ნიადაგებისადმი, რაც დაკავშირებულია ფესვთა სისტემის ფიზიოლოგიასთან, მათი ნიადაგში განლაგების უნართან. საინტერესოა ს. ხაიალიევის მონაცემები თუთის ზოგიერთი ჯიშის აქტიური ფესვების ზრდის თავისებურებათა შესახებ [16]. იგი ასკვნის, რომ აქტიური ფესვების ინტენსიური ზრდა ნიადაგის სხვადასხვა პირობებში დაკავშირებულია ტოტების აქტიური ზრდის პერიოდებისაგან.

საძირე საკმაოდ დიდ გავლენას ახდენს ნამყენის დაავადებისა და მავნებლებით დაზიანების ხარისხზე. დადგენილია საძირეს აშკარა გავლენა სანამყენეს ზრდის სიძლიერესა და ხასიათზე. ასეთი კანონზომიერებანი შესწავლილი აქვთ მ. კაკულიას, დ. მაისურაძეს, დ. შალამბერიძეს, გ. ზვიადაძეს [6, 10, 2, 3, 4, 5].

შუა აზიის პირობებში ჩატარებული ცდებით (ი. ჩირკოვი, ხ. ზაკიმოვი) დადგინდა, რომ საძირეს გავლენით იცვლება ახალგაზრდა პიბრიდული სანამყენეს რიგი ნიშან-თვისება: ყლორტის სიგრძე, გვერდითი ტოტისა და კვირტების რაოდენობა, მუხლთშორისის სიგრძე, ფოთლის ფირფიტის ზომები, ყუნწის სიგრძე და სხვ. ივანჩენკომ უკრაინის პირობებში შეისწავლა საძირეს გავლენა თუთის რამდენიმე ჯიშის ყინვაგამძლე

ობაზე, რაზეც იგი მსჯელობს სანამყენეს ტოტის წვერის ნაწილისა და ბუჩქის მთლიანად გაყინვის მიზეზით. მისი მონაცემებით, საძირეს („ხასაკი“ და „პიბრიდული“) გავლენით ნამყენთა („უკრაინული“ და „ტიგორსკის 43“) გაყინვის ხარისხი იცვლება 35%-ის ფარგლებში. უკრაინული ნამყენი უკრაინული ნამყენები.

თავის მხრივ სანამყენე რომელიც, შემოსილია მწვანე ფოთლით, საკმაოდ დიდ გავლენას ახდენს საძირეზე. შედარებით ადვილად იცვლება ჩიშიანი მცენარეებისაგან მიღებული თესლით გამოზრდილი საძირეები, ხოლო უფრო სტაბილურია უჯიშო მცენარეების თესლისაგან და ვეგეტატიური გამრავლებით მიღებული საკუთარფესვიანი-კლონური საძირეები [14].

მეთუთეობაში საძირე მასალის შერჩევასა და შესწავლას უკანასკნელ პერიოდამდე არ ექცეოდა სათანადო ყურადღება.

თუთის საძირისა და სანამყენეს ურთიერთგავლენის შესასწავლად სტუდენტ ნ. ი. მრელაშვილთან ერთად საცდელი მუშაობა ჩატარეთ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დიღმის ხისწავლო-საცდელი მეურნეობის მეთუთეობის განყოფილებაში. პირველ წელს დამზადებული იქნა 4 წარმოშობის თუთის თესლი: შულავერში თუთის ხნიერ ნარგაობიდან, წნორსა და დიღომში გრუზიას ჩიშის მცენარეებისაგან (თავისუფალი დამტვერვის შედეგად მიღებული თესლი) და თუთის უჯიშო ფორმის—ტატარიკას ხელოვნური შექვარებით მიღებული თესლი. თესლი დათესილი იქნა იმავე წელს, თესლნერგები მეორე წელს გადარგული იქნა სანერგე სკოლის საძირეთა ნაკვეთზე, ხოლო მესამე წელს 20 აპრილს აღნიშნულ საძირეებზე ჩატარდა მცნობა. სანამყენედ აღებული იყო თუთის 2 ჩიში გრუზია და პიბრიდი 2. სულ დაიმყნო 624 კვირტი. აღრიცხული იქნა თუთის თესლნერგების და საძირის სიმაღლე და დიამეტრი ფესვის ყელთან, ნამყენთა შეზორცების პროცენტი, ნამყენის სიმაღლე და სიშხო ნამყენი ადგილიდან 20 სმ-ის სიმაღლეზე. შესწავლილი იქნა აგრეთვე ნამყენთა ზრდის დინამიკა, რისთვისაც საცდელად გამოყოფილი ნამყენები (30 ძირი ცალკეული კომბინაციისათვის) 1 ივლისიდან იზომებოდა ყოველ 10 დღეში ერთხელ. მეოთხე წლის 27 თებერვალს წინასწარ მომზადებულ ყუთებში ჩაირგო ექვსივე კომბინაციის ორ-ორი ნერგი. ყუთის სიმაღლე იყო 2 მეტრი, ხოლო სიგრძე და სიგანე 1 მეტრი (2X1X1). დარგული მცენარეები მთელი სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში ირწყვებოდა სისტემატურად და წარმოებდა ნიადაგის ფაფხვიერება.

ვეგეტაციის დასრულების შემდეგ იმავე წლის 5 და 6 ნოემბერს აღრიცხული იქნა ნამყენი ნერგების წლიური ნაზარდი და წყლის მუდმივი ნაკადით გამორეცხილი იქნა ყუთში არსებული მიწა. ამ მიზნით მიღე-

ბული ფესვთა სისტემა ფიქსირებული იქნა სათანადოდ, პერსონალურ მდგომარეობაში გადასვლის შემდეგ ცალკეული მცენარისათვის დადგენილი იქნა ფესვების რაოდენობა, საერთო სიგრძე და წონა. გაზრდილი იქნა ყველა ფესვის საერთო სიგრძე (ბუსუსების გარდა). შემოქმედებული დეგ აწონილი იქნა როგორც გამტარი ფესვები, ისე ბუსუსებშიც.

ცხრილი 1

თესლნერგებისა და საძირის დამახასიათებელი მაჩვენებლები

№		თესლნერგი		საძირე			
		სიმაღლე		სიმაღლე		დიამეტრი	
		სმ	%	სმ	%	მმ	%
1	შულავერის	15	100	70	100	9,1	100
2	გრუზია დიღმის	33	218	105	150	11,5	196
3	გრუზია წნორის	23	153	88	126	11,1	122
4	ტატარიკა X ტატარიკა	25	167	94	135	10,8	119

პირველ ცხრილში ნაჩვენებია თესლნერგებისა და საძირის დამახასიათებელი მაჩვენებლები. როგორც ამ ცხრილიდან ჩანს, ზაფხულში თესვის შედეგად თუთის თესლნერგი აღწევს 15—33 სმ სიმაღლეს. შულავერში დამზადებული თესლიდან აღზრდილი მცენარე ძლიერ ჩამორჩება ზრდაში წნორში და დიღომში დამზადებული ტატარიკასა და გრუზიას თესლიდან აღზრდილ თესლნერგებს, თესლნერგის სიმაღლის მიხედვით ყველაზე უკეთეს შედეგს იძლევა ადგილობრივ პირობებში დამზადებული თესლიდან აღზრდილი თესლნერგები. მაგალითად, დიღმის პირობებში დამზადებული თესლიდან აღზრდილი თესლნერგის სიმაღლე 10 სმ-ით, ანუ 65%-ით მეტია წნორის თესლიდან აღზრდილ თესლნერგთან შედარებით. პირველ ცხრილში ნაჩვენებია აგრეთვე საძირის სიმაღლისა და დიამეტრის ამსახველი მაჩვენებლები. როგორც ამ ცხრილიდან ჩანს, გრუზიასა და ტატარიკას თესლიდან მიღებული საძირე სიმაღლესა და სიმსხოში მნიშვნელოვნად აღემატება შულავერში დამზადებული თესლიდან აღზრდილ საძირეს. ეს განსხვავება სიმაღლის მიხედვით 26—50%-ის ფარგლებშია, ხოლო საძირის დიამეტრის მიხედვით 19—26%-ის ფარგლებში. საკმაოდ ძლიერად არის განვითარებული ადგილობრივ პირობებში დამზადებული გრუზიას თესლისაგან მიღებული საძირე. ამ მონაცემებით კიდევ ერთხელ დასტურდება ადგილობრივ პირობებში დამზადებული თუთის თესლის ფესვის უპირატესობა.



ნამყენის წლიური ნაზარდი

№	საძირე	სანამყენე	სიმაღლე		მერყეობის ხარისხი		შებენი
			სმ	%	სმ	%	
1	შულავერის	გრუზია	131	100	6,6	100	20
2	გრუზია დიღმის	გრუზია	130	99	6,3	95	64
3	გრუზია წნორის	გრუზია	117	89	5,9	89	69
4	ტატარიკა X ტატარიკა	გრუზია	147	112	7,1	108	61
5	გრუზია დიღმის	გრუზია დიღმის	147	112	6,5	96	100
6	შულავერის	ჰიბრიდი 2	209	159	7,2	109	21
7	გრუზია დიღმის	ჰიბრიდი 2	191	146	6,3	95	47
8	გრუზია წნორის	ჰიბრიდი 2	217	165	7,9	120	33
9	ტატარიკა X ტატარიკა	ჰიბრიდი 2	220	167	6,5	98	64
10	ტატარიკა X ტატარიკა	ტატარიკა X ტატარიკა	155	118	4,0	61	45

მეორე ცხრილში ნაჩვენებია ნამყენის წლიური ნაზარდის ამსახველი მონაცემები. როგორც ამ ცხრილიდან ჩანს, ერთსა და იმავე საძირეზე დამყენილია თუთის 2 ჯიში, რომელთა ნამყენების შეხორცების მაჩვენებლები საკმაოდ განსხვავდება ერთმანეთისაგან. სხვადასხვა კატეგორიის საძირეებზე გრუზიას მყნობის შემთხვევაში ნამყენთა შეხორცება საშუალოდ შეადგენს 53%-ს, ხოლო იმავე საძირეებზე ჰიბრიდი 2-ით მყნობის შემთხვევაში ნამყენთა გაზარება უდრის 41%-ს. მნიშვნელოვანი განსხვავება ნამყენის შეხორცების მხრივ ერთსა და იმავე ჯიშის სხვადასხვა საძირეებზე მყნობის შემთხვევაშიც. ყველაზე დაბალი მაჩვენებლებით ხასიათდება შულავერში დამზადებული თესლიდან აღზრდილი საძირე, რომელზეც მყნობისას ნამყენის შეხორცება აღწევს 20—21%-ს. ტატარიკას შეჯვარების გზით მიღებულ საძირეზე გრუზიასა და ჰიბრიდი 2-ის მყნობის შემთხვევაში ნამყენის გაზარება აღწევს 61—64-ს. გრუზიას თესლიდან მიღებული საძირე სამყნობად უკეთესია ჯიშ გრუზიასათვის, ვიდრე ჰიბრიდი 2-სათვის.

მე-2 ცხრილში ნაჩვენებია ნამყენის წლიური ნაზარდის ამსახველი მონაცემები. როგორც ჩანს, ნამყენი აღწევს 117—220 სმ-მდე სიმაღლეს, ხოლო ნამყენის ღეროს განიკვეთის ფართობი 6—8 სმ<sup>2</sup>-ს. როგორც ჩანს, საძირის გავლენით მნიშვნელოვნად იცვლება ნამყენის საერთო სიმაღლე. მაგალითად, გრუზიას ნამყენის სიმაღლე სხვადასხვა საძირის გავლენით იცვლება 11—12%-ის ფარგლებში. ხოლო იმავე საძირეებზე ჰიბრიდი 2-ის ნამყენი იცვლება 21%-ის ფარგლებში. ასევე ნამყენის ღეროს განიკვეთის ფართობი საძირის გავლენით იცვლება 8—22%-ის ფარგლებში. თუ საკონტროლოდ ავიღებთ შულავერის საძირეზე გრუზიას ნამყენს, მაშინ ნამყენის სიმაღლეში სხვაობა მერყეობს 67%-ის ფარგლებში, ხოლო



ქართული ენის ენციკლოპედია

საქვეყნო ენციკლოპედია

საქართველოს ენციკლოპედია

	სახელი	სამსახური	ფუნქცია			საქართველოს ენციკლოპედია			3	7
			1	11	22	2	12	22		
									3	26
1	მედიკოსი	ერეზი	16,2	16,6	15,5	18,0	9,5	36,3	17,2	14,9
2	ერეზი დიდი	ერეზი	27,0	16,3	18,3	15,8	9,2	29,5	13,9	6,8
3	ერეზი წმინდი	ერეზი	25,9	14,9	16,3	14,5	18,7	18,3	11,9	6,1
4	ტეტარა I ტეტარა	ერეზი	33,7	17,2	19,2	19,3	10,5	25,2	14,5	7,0
5	ერეზი დიდი	ერეზი დიდი	30,6	16,4	18,5	16,8	12,2	15,2	17,5	10,0
6	მედიკოსი	საბრძოლო 2	36,4	22,3	23,3	26,7	14,9	35,1	21,7	26,2
7	ერეზი დიდი	საბრძოლო 2	27,7	24,4	24,4	24,2	16,9	23,3	18,7	21,4
8	ერეზი წმინდი	საბრძოლო 2	43,1	38,4	19,0	26,0	18,5	36,1	19,0	16,7
9	ტეტარა I ტეტარა	საბრძოლო 2	20,5	29,0	26,8	26,0	12,7	33,6	16,3	23,2
10	ტეტარა I ტეტარა	ტეტარა I ტეტარა	40,0	19,7	16,5	16,9	10,3	25,5	10,2	15,8
			332,1	215,6	200,0	204,1	133,6	293,3	161,1	145,1
			32,1	21,6	20,0	20,4	13,4	29,3	16,1	14,5

ნამყენის განიკვეთის ფართობის მიხედვით ეს სხვაობა 20%-ია უარყოფითაა.

იმ მიზნით, რათა გაგვერკვია საძირისა და სანამყენის ცვლენის საკითხი ზოგიერთ საძირებზე შედარებისათვის საძირებზე აკრილი კვირტი. როგორც მე-2 ცხრილიდან ჩანს, ასეთი ვარიანტებია მე-5 და მე-10. გრუზიას შემთხვევაში თუ ამ ვარიანტს ჩვეულებით საკონტროლოდ, სხვა საძირებზე ნამყენები უფრო ნაკლები ინტენსივობით იზრდებიან.

მე-3 ცხრილში ნაჩვენებია ნამყენთა ზრდის დინამიკა სავეგეტაციო პერიოდში. როგორც აღნიშნული მასალებიდან ირკვევა თუთის ნამყენთა ათდღიური ნაზარდი 12-დან 33-მდე სანტიმეტრის ფარგლებშია. ყველაზე მეტი ინტენსივობით ნამყენი ნერგი იზრდება ივლისსა და აგვისტოში (59—62 სმ). მნიშვნელოვანი ნაზარდი აღინიშნება აგრეთვე ივნისსა და სექტემბერში (14—33 სმ). მე-3 ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, რომ თუთის ჭიშები გრუზია და ჰიბრიდი 2 მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ნაზარდის ინტენსივობის მიხედვით. განსაკუთრებით ძლიერი ნაზარდით გამოირჩევა ჰიბრიდი 2-ის ნამყენები. ამ მასალებიდან აგრეთვე ჩანს, რომ უფრო მეტი განსხვავება ნაზარდის ინტენსივობაშია. ტატარიკაზე ნამყენი გრუზიას ნერგი აგვისტოს პირველ ნახევრამდე უფრო მეტი ინტენსივობით იზრდება შულავერის საძირებზე ნამყენთან შედარებით. აგვისტოს მე-2 ნახევრიდან კი პირიქით, უფრო მეტი ინტენსივობით იზრდება შულავერის საძირებზე ნამყენი გრუზიას ნერგი, მაგრამ იმის გამო, რომ ეს პერიოდი უფრო ხანმოკლეა, საერთო ნაზარდი მეტი აქვს ტატარიკაზე ნამყენ გრუზიას ნერგს. გრუზიას ნერგის ზრდაში შესამჩნევია ორი პერიოდი და ზრდის ინტენსივობა მნიშვნელოვნად მცირდება აგვისტოს მე-2 დეკადაში.

როგორც ჩანს საძირე საკმაოდ ცვლის ნამყენის ნაზარდის ინტენსივობას. აგვისტოს პირველ ნახევრამდე ტატარიკაზე ნამყენი ჰიბრიდი 2 უფრო მეტი ინტენსივობით იზრდება, ხოლო შემდგომ პერიოდში იგი საკმაოდ ჩამორჩება შულავერის საძირებზე ნამყენის ზრდის ინტენსივობას; თითქმის ანალოგიურად იზრდება გრუზიას საძირებზე ნამყენი ჰიბრიდი 2-ის ნერგი. ამ შემთხვევაშიაც ნამყენთა ზრდის ინტენსივობა მნიშვნელოვნად მცირდება აგვისტოს მე-2 დეკადაში.

ჩატარებული სამუშაოს შედეგად გაირკვა, რომ სანამყენე მნიშვნელოვნად ცვლის საძირის ფესვთა სისტემას. ამის დამადასტურებელი მასალები აღნიშნულია მე-4 და მე-5 ცხრილებში. როგორც ამ მასალებიდან ჩანს, შულავერის თესლიდან აღზრდილი საძირის ფესვთა სისტემა დარგვის პირველსავე წელს სანამყენს გავლენით შემდეგნაირად შეიცვალა. ჯიშ ჰიბრიდი 2-ით მყნობის შემთხვევაში ჯიშ გრუზიასთან შედარებით



მუღის ხეჩუბს ზეჩის ქვედა დე ზეჩის ქვედა რეკონსტრუქციის სტრუქტურა



	მუღის ხეჩუბს		მუღის ხეჩუბს სიმაღლე (მეტრში)	მუღის ხეჩუბს სიგანე, მ	მუღის ხეჩუბს ზეჩის ქვედა			მუღის ხეჩუბს ზეჩის ქვედა სიგანე, მ	მუღის ხეჩუბს ზეჩის ქვედა სიმაღლე, მ	მუღის ხეჩუბს ზეჩის ქვედა სიგანე, მ	მუღის ხეჩუბს ზეჩის ქვედა სიმაღლე, მ
	სიმაღლე	სიგანე			მუღის ხეჩუბს ზეჩის ქვედა	მუღის ხეჩუბს ზეჩის ქვედა	მუღის ხეჩუბს ზეჩის ქვედა				
1	მუღის ხეჩუბს	მუღის ხეჩუბს	498	9536	20	106	126	336,5	632,5	7	20
2	მუღის ხეჩუბს	მუღის ხეჩუბს 2	923	18977	22	282	304	374,0	665,5	5,5	18
3	მუღის ხეჩუბს I მუღის ხეჩუბს	მუღის ხეჩუბს	377	8132	12	107	121	245,0	324,5	6,5	14
4	მუღის ხეჩუბს II მუღის ხეჩუბს	მუღის ხეჩუბს 2	497	10480	19	139	158	314,5	503,5	6,5	15
5	მუღის ხეჩუბს ზეჩის ქვედა	მუღის ხეჩუბს	294	8218	18	100	148	302,5	543,0	8	17
6	მუღის ხეჩუბს ზეჩის ქვედა	მუღის ხეჩუბს 2	619	12197	27	206	235	314,0	335,2	8	18





შულავერის საძირემ განივითარა 85%-ით მეტი ფესვები, ხოლო ფესვების წონა 141%-ით მეტია. ანალოგიურად იცვლება იგივე ჯიშებში მყნობის შემთხვევაში ტატარიკას შეჭვარების შედეგად მიღებულ საძირე აქროგორც მე-5 ცხრილიდან ჩანს, ჰიბრიდი 2-ით მყნობის შემთხვევაში გრუზიასთან შედარებით, ტატარიკას საძირემ განივითარა 25%-ით მეტი ფესვები, რომელთა საერთო სიგრძე და წონა გრუზიასთან შედარებით მეტია 30%-ით. კიდევ უფრო მეტად შეიცვალა თავისუფალი დამტვერვით გრუზიას თესლიდან მიღებული საძირე. როგორც მე-5 ცხრილიდან ჩანს, ეს ცვალებადობა აღინიშნება 49—59%-ის ფარგლებში.

ცხრილი 5

სანამყენეს გავლენა საძირის ფესვთა სისტემაზე

	ცდის ვარიანტი		ფესვების რაოდენობა		ფესვების საერთო სიგრძე		ფესვების წონა	
	საძირე	სანამყენე	ცალი	%	მ	%	გ	%
1	შულავერის	გრუზია	498	100	95	100	126	100
2	შულავერის	ჰიბრიდი 2	923	186	160	168	304	241
3	ტატარიკა X ტატარიკა	გრუზია	397	100	81	100	121	100
4	ტატარიკა X ტატარიკა	ჰიბრიდი 2	497	125	105	130	158	130
5	გრუზია დიღმის	გრუზია	394	100	82	100	148	100
6	გრუზია დიღმის	ჰიბრიდი 2	619	167	192	149	235	159

ამგვარად, ჩვენ მიერ ჩატარებულ ცდაში გამოძვლავნდა საძირის გავლენა თუთის 2 ჯიშის ნამყენის ნაზარდის ოდენობასა და ზრდის დინამიკაზე. ამავე ცდით გამოძვლავნდა სანამყენეს აშკარა გავლენა საძირის ფესვთა სისტემის ზრდა-განვითარებაზე. ჩატარებული ცდის შედეგად შეიძლება გაეაყეთოთ შემდეგი დასკვნა:

1. თუთის სანერგე მეურნეობაში საძირის აღსაზრდელად უმჯობესია გამოყენებული იქნეს ადგილობრივ პირობებში დამზადებული ჰიბრიდული თესლი, რადგან სხვადასხვა წარმოშობის თესლიდან აღზრდილი თესლნერგები სიმალლეში 50%-ით, ხოლო სიმსხოში 26%-ით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, ამასთან, ადგილობრივი თესლიდან მიღებულ საძირეზე უკეთესია ნამყენის შეხორცება.

2. საძირის სახე გავლენას ახდენს ნამყენის შეხორცებაზე. ერთი და იმავე ჯიშის კვირტის სხვადასხვა საძირეზე მყნობისას ნამყენთა შეხორცება მერყეობს 20—69%-ის ფარგლებში.

3. საძირის გავლენით მნიშვნელოვნად (11—21%) იცვლება ნამყენის/ სიმაღლე და მისი ზრდის მსვლელობა.

4. თუთის ნამყენის ათლიური ნაზარდი 13—33 სმ-მდე აღწევს. მეტი ინტენსივობით ნამყენი იზრდება ივლისსა და აგვისტოში. ნამყენის ზრდაში შესამჩნევია ორი პერიოდი. მისი ზრდის ინტენსივობა მნიშვნელოვნად მცირდება აგვისტოს მეორე დეკადაში.

5. თუთის უჯიშო ფორმაზე (ტატარიკა) ნამყენი უფრო მეტი ინტენსივობით იზრდება ვეგეტაციის პირველ პერიოდში—აგვისტოს პირველ ნახევრამდე; მულავერის საძირებზე ნამყენი ნერგი კი ვეგეტაციის მეორე პერიოდში.

6. სანამყენე საკმაოდ დიდ გავლენას ახდენს საძირის ფესვთა სისტემის ნაზარდზე, ნერგის მუდმივ ადგილზე დარგვის პირველ წელსვე. სანამყენეს გავლენით საძირის ფესვების რაოდენობა, სიგრძე და წონა იცვლება 25—141%-ის ფარგლებში.

### ლიტერატურა — Литература

1. П. С. Гольфандбейн. Формирование кроны и обрезка плодовых деревьев. М., 1959.
2. Г. Э. Звиададзе, Д. А. Шаламберидзе. О влиянии подвоя на рост окулянтов шелковицы. Труды Груз. СХИ, т. 70, 1966.
3. Г. Э. Звиададзе. Об использовании гибридной шелковицы в качестве подвоя. Жрн. Шелк, № 1, 1966.
4. Г. Э. Звиададзе. Влияние подвоя на динамику роста шелковицы. Сб. научн. тр. объедин. научн. сессии Закавказских с.-х. вузов, Ереван, 1967.
5. Г. Э. Звиададзе. Влияние подвоя на динамику роста штамба некоторых сортов шелковицы. Тр. Груз. СХИ, т. 75, 1968.
6. Г. Э. Звиададзе, М. А. Какулия, Д. Н. Майсурадзе. Испытание подвоев шелковицы на устойчивость к курчавой мелколистности. Тр. Груз. СХИ, т. 100, 1977.
7. В. А. Колесников. Плодоводство. М., 1959.
8. Е. В. Колесников. О влиянии привоя и подвоя на рост всасывающих корней. Бюлл. Гл. Бот. сада АН СССР, вып. 33, 1955.
9. А. С. Кружинин. Взаимовлияние привоя и подвоя растений. М., 1960.
10. Д. Н. Майсурадзе. Результаты испытания некоторых подвоев шелковицы к заболеванию курчавой мелколистностью. Труды Груз. СХИ, т. 91, 1975.



11. Нарита Масаси, Адзами Сукахико, Судзуки Ма-  
кото. Некоторые наблюдения над корневой системой шелкови-  
цы. *S. Sericult. sci Japan*, 36, № 1, 1967.
12. Д. И. Николаев. Восстановление корневой системы деревьев  
после обрезки корней и кроны. *Бюлл. Гл. бот. сада АН СССР*,  
вып. 8, 1951.
13. Ояма Кацуо. Изучение функции кроны шелковицы после об-  
резки побегов. *Bull. sericult, Stat*, 24, № 1, 1970.
14. Б. А. Попов. Сады на карликовых подвоях. М., 1976.
15. Тарасенко. О взаимовлиянии подвоя и привоя у плодовых  
деревьев. *Агробиология*, № 1, 1951.
16. С. Хайалиев. Рост активных корней некоторых сортов шел-  
ковицы в годичном цикле. *Научн. тр. Таш. СХИ*, вып. 47, 1974.





УДК 634.38

М. И. ШАБЛОВСКАЯ, В. Г. БЕРДЗЕНИДЗЕ,  
 З. В. ХАРШИЛАДЗЕ, О. В. ОЗИАШВИЛИ, В. Г. НИКУРАДЗЕ.

**ПЕРСПЕКТИВНОСТЬ ИСПОЛЬЗОВАНИЯ ПОЛИПЛОИДИИ В ДЕЛЕ  
 СОЗДАНИЯ УСТОЙЧИВЫХ К КУРЧАВОЙ МЕЛКОЛИСТНОСТИ  
 СОРТОВ ШЕЛКОВИЦЫ**

Большой выпад среди насаждений шелковицы, вызванный сильно распространеннейшей инфекцией заболевания курчавой мелколистностью, привел к значительному сокращению кормового фонда шелководства Грузии. Поэтому в последние годы особенно остро встала задача создания сортов шелковицы не только с высоким уровнем урожайности и качества листа, но и с наличием высокой устойчивости к курчавой мелколистности.

В литературных источниках имеются частые ссылки на высокую практическую ценность полиплоидных форм, в том числе на наличие среди них видов с высокой устойчивостью к заболеваниям (Раппорт, Ведяревский, Петров, Дубинин, Панин и ряд других). В то же время имеются противоположные указания на малую эффективность использования полиплоидии в этом направлении (отчет о поездке в Японию канд. с/х наук Звиададзе Г. Э.).

Учитывая хозяйственную и селекционную ценность триплоидной шелковицы, позволяющей получать в значительном количестве формы, отличающиеся высоким качеством и урожайностью листа, была начата работа по изучению целесообразности привлечения полиплоидных форм шелковицы к работе по созданию устойчивых к курчавой мелколистности сортов, обеспечивающих получение стабильных урожаев листа. Проведившиеся ранее работы по экспериментальному получению полиплоидной шелковицы, главным образом методом колхичинирования растений на различных стадиях их развития (семена, всходы, взрослые растения), и гибридизация раз

воплоднх форм позволили накопить богатый материал. Опытные растения в основном представлены триплоидными формами, полученными от скрещивания искусственных тетраплоидов, полученных из гибридов.

Среди сосредоточенных в селекционном питомнике растений были отобраны 13 лучших форм не болевших или болевших в очень слабой форме курчавой мелколистностью в период прохождения ими предварительной проверки устойчивости к этому заболеванию, проводившейся в зоне инфекции. Для дальнейшего изучения материала в двух зонах (с наличием и отсутствием заболевания курчавой мелколистности) были заложены испытательные участки, позволившие дать оценку продуктивности и устойчивости изучаемого материала. Участки закладывались окулянтами, выращенными в здоровой зоне на принятом в производстве диплоидном подвое по существующей схеме методики сортоиспытания — в виде среднестебельной плантации при густоте стояния  $3 \times 3$  м, в четырехкратной повторности по 10 растений каждой формы в повторности. Контролем служил широко распространенный в производстве и принятый в качестве такового в период проведения настоящих работ диплоидный высокопродуктивный, относительно устойчивый к курчавой мелколистности сорт шелковицы Иверия.

Как показал учет урожая листа, изучающиеся триплоидные формы значительно различаются по этому показателю. По средним четырехлетним данным две формы — Русская № 4 и Украинская 9 № 35 дали высокий урожай листа, значительно превысивший урожай сорта Иверия (58,9, 68,6 ц/га — 411%, 129%), пять форм по этому показателю аналогичны высокоурожайному сорту Иверия, ПС-75 — 24, № 28 — 23, Киприу — 6, Украинская 9 — 50, ПС-40 — 1 (49,6; 50,1; 51,2; 51,0; 52,0 ц/га — 94,0, 96,0 90,0%); две формы — № 20 — 5 и № 03 — 17 по урожаю листа несколько ниже контрольного сорта (91,0—92%), а четыре — № 43 — 4, Победа — 4, № 03 — 8 и Победа — 16 стоят намного ниже сорта Иверия (62,0—85,0%) (табл. 1). Материал обработан статистически и разница в урожае листа вполне достоверна (при  $P = 5\%$ ).

Одновременно с учетом урожая листа проводилось определение процента его выхода. Этот показатель, за редким исключением, мало варьирует по годам. Для большинства форм он более или менее одинаков и превышает 50%. Исключение составляют Русская 4 и Победа 4, для которых характерен более низкий выход листа (49%). К группе с наиболее высоким выходом листа относятся формы: Победа 16, № 03 — 8, ПС-76 — 24, Киприу — 6, № 43 — п (54,3 — 56,4%); особенно высок он у Украинской 9 — 35 (59,7%).



Урожай листа

Таблица 1  
1973-1976

Форма	Урожай листа, ц/га					В % к контролю
	1973	1974	1975	1976	Средн	
Иверия контроль	42,2	40,8	63,8	65,2	53,0	100
№ 43 — 4	23,2	29,0	41,9	38,1	33,0	62
№ 28 — 23	41,4	37,6	60,8	60,5	50,1	96
№ 20 — 5	31,9	36,7	64,1	60,5	48,3	91
Кириу — 6	40,5	42,6	60,8	60,8	51,2	96
Русская — 4	53,9	43,8	66,9	71,1	58,9	111
ПС-75 — 24	38,3	39,2	55,8	65,2	49,6	94
ПС-40 — 1	42,2	37,2	63,8	64,9	52,0	98
№ 03 — 17	48,8	41,0	53,0	53,0	48,9	92
№ 3 — 8	26,4	35,0	36,4	53,1	37,7	71
Победа — 16	47,3	37,3	51,1	45,2	45,2	85
Победа — 4	29,7	30,2	37,7	40,7	34,6	65
Укр-9 — 50	39,2	40,5	56,9	67,8	51,0	96
Укр-9 — 35	46,9	55,6	75,4	96,4	68,6	129

16.391

Анализ данных кормового достоинства листа, определявшийся методом кормоиспытательных микровыборок, проводившихся так

Таблица 2

Продуктивность

Форма	Урожай шелка, кг/га					В процентах к контролю				
	1973	1974	1975	1976	Сред-нее	1973	1974	1975	1976	Сред-нее
Иверия	47,2	52,9	67,8	73,0	60,2	100	100	100	100	100
№ 43-4	27,0	33,9	49,0	44,6	38,4	57	64	72	61	64
№ 28-23	47,4	44,0	71,1	70,8	58,4	100	83	105	97	97
№ 20-5	36,4	41,8	73,1	69,0	55,1	77	79	107	94	91
Кириу-6	49,4	52,0	74,2	74,2	62,4	104	98	109	101	103
Русская-4	59,5	49,0	74,9	78,9	53,2	126	92	110	109	88
ПС75-24	44,4	45,5	64,7	75,6	57,5	94	86	95	103	95
ПС40-1	51,9	45,7	78,5	80,8	64,2	110	86	116	111	106
№ 03-17	60,0	50,0	65,1	58,3	58,3	127	95	96	80	97
№ 03-8	47,9	49,9	62,8	52,6	52,1	100	94	93	72	86
Победа-16	54,3	43,0	68,8	52,0	54,5	115	81	101	71	90
Победа-4	39,0	39,9	49,8	53,7	45,6	82	75	73	73	75
Укр-9-50	45,9	47,4	67,1	79,3	59,9	97	89	99	108	99
Укр-9-35	54,9	65,0	88,2	112,8	80,2	116	123	120	154	133

$M=56,9 \pm 3,8$

$\gamma=7,6$

$t.o.=6,6\%$


დ. ანტონ სპ. სპ.  
სს. საბავშვო  
სახეობის  
საქართველო 17



Учет заболеваемости курчавой мелкотельностью

Форма	1972		1973		1974		1975		1976		1977		1978	
	% зара- жён.	% раз- вития бол.	% зара- жён.	% раз- вития бол.	% зара- жён.	% раз- вития бол.	% зара- жён.	% раз- вития бол.	% зара- жён.	% раз- вития бол.	% зара- жён.	% раз- вития бол.	% зара- жён.	% раз- вития бол.
Иверня контр.	9,7	3,4	20,0	1,7	65,1	61,1	25,0	26,7	0	0	0	0	25,0	22,0
Укр 9-50	11,8	2,0	2,8	0,3	16,6	10,1	24,3	24,8	13,8	4,6	0,3	2,7	12,8	1,8
М 28-23	0	0	7,3	0,7	33,6	25,8	27,0	24,6	0	0	0	0	0	0,1
М 42-4	0	0	0	0	17,6	6,8	45,7	42,0	14,7	4,9	10,3	12,1	24,3	9,0
Победа — 16	2,8	1,7	10,8	1,2	41,1	37,0	37,1	36,8	0	0	14,3	4,1	9,7	6,4
М 63-8	0	0	10,3	0,8	73,6	42,2	70,0	62,7	0	0	14,3	14,2	25,7	21,8
М 20-5	0	0	0	0	22,3	22,5	40,6	28,5	31,2	26,0	24,4	24,4	29,0	21,5
ПС 78-24	2,3	0,9	27,0	2,9	61,9	43,0	82,8	81,4	0	0	11,1	13,8	66,6	66,6
Укр 9-35	0	0	0	0	28,5	24,3	68,8	62,7	66,6	48,4	27,0	25,2	100	100
Русская-4	0	0	11,7	1,0	83,2	46,2	91,1	84,1	79,1	79,4	63,1	61,1	64,7	59,8
М 63-27	39,8	2,6	26,1	3,6	57,1	75,0	93,9	90,0	28,8	21,9	76,9	75,6	100	100
ПС-40-1	0	0	22,2	2,3	91,6	91,7	91,1	83,3	88,2	62,7	91,1	91,1	100	100
Победа-4	5,2	1,7	20,7	1,6	94,7	94,9	100	100	100	100	100	100	100	100
Кипру-6	2,7	0,9	58,3	6,5	100	100	96,8	96,8	100	100	100	100	100	100





же, как учеты урожая листа весной на базе факультета шелководства Груз. СХИ при отсутствии заболевания курчавой мелколистностью, показал высокие качества листа полиплоидных форм, что говорит о перспективности их использования для червокопашения. Из участвующих в опыте полиплоидных форм по показателю выхода шелка-сырца, полученного от скармливания листа гусеницам тутового шелкопряда (в пересчете на гектар насаждений), высокая продуктивность установлена для трех форм: ПС-40 — 1, Кириу 6, Украинская 9 — 35, давших по средним четырехлетним данным наиболее высокий выход шелка-сырца — на 3,0, 6,0 и 33,0% превысивших контрольный сорт (табл. 2). Аналогичную с высокопродуктивным сортом Иверия оценку получили формы: Победа 16, № 20 — 5, ПС-75 — 24, № 03 — 17, № 28 — 23, Украинская 9 — 50, Русская 4, № 03 — 8. Формы № 43 — 4, Победа 4 менее продуктивны в данном наборе.

Наблюдения над восприимчивостью к курчавой мелколистности проводились в полевых условиях, при наличии сильной естественной инфекции настоящего заболевания, в течение шести лет. Учеты велись после весенней эксплуатации насаждений, способствующей и усиливающей его проявление. Учитывались проценты заражения и развития болезни (табл. 3).


Несмотря на то, что включению в опыт предшествовал предварительный отбор относительно устойчивого и неболеющего материала, проводившегося в течение ряда лет, все проходящие испытания формы в той или иной степени болели курчавой мелколистностью. Даже многолетняя положительная оценка устойчивости к курчавой мелколистности не гарантировала ее сохранение в дальнейшем, что подчеркивает сложность проведения настоящей работы. Как видно, заболевание по годам сильно колебалось. В 1974—1975 годах у всех форм оно значительно возросло, что по всей вероятности, надо отнести за счет благоприятных для заболевания климатических условий, спровоцировавших степень его проявления. Однако соотношение между отдельными формами более или менее сохранилось. Для того, чтобы иметь возможность судить о заболеваемости курчавой мелколистностью отдельных форм за семилетний период (1972—1978), полученный в результате учетов материал был разбит по проценту заражения внутри годов на группы. В первую группу отнесены неболевшие или слабо болевшие формы (до 15%), во вторую — болевшие в средней степени (до 30%), в третью вошли сильно болевшие формы (50% и выше).



## Разбивка материала по степени заражения.

Таблица 4

Наименование и № формы	Годы наблюдений	Не болеет	I группа слабоболеет до 15%	II группа среднебол. до 30%	III группа сильно бол., 50% и выше
1	2	3	4	5	6
Иверия	1972	№ 28—23 № 43—4 № 03—8	Иверия Укр 9—50 Победа—16		№ 03—17
Укр 9—50 № 28—23 Победа—16 № 43—4 № 03—8 ПС 75—24		Укр 9—35 № 20—5 Русская—4 ПС 40—1	Победа—16 ПС 75—24 Кириу—6 Победа—4		
Укр 9—35 № 20—5 Кириу 6 Русская —4 ПС 40—1	1973	№ 43—4 Укр 9—35 № 20—5	Укр 9—50 № 28—23 Победа—16 № 03—8 Русская—4	Иверия ПС 75—24 ПС 40—1 Победа—4	№ 03—17 Кириу—6
Победа—4 № 03—17	1974			Укр 9—50 № 28—23 № 43—4 Укр 9—35	Иверия № 03—8 Победа—16 № 20—5 ПС 75—24 Кириу—6 Русская—4 ПС 40—1 Победа—4 № 03—17
	1975			Иверия Укр 9—50 № 28—23	Победа—16 № 43—4 № 03—8 № 20—5 ПС 75—24 Укр 9—35 Кириу—6 Русская—4 ПС 40—1 Победа—4 № 03—17
	1976	Иверия № 28—23 Победа—16 № 03—8 ПС 75—24	Укр 9—50 № 43—4	№ 03—17	Укр 9—35 № 20—5 Кириу—6 Русская—4 ПС 40—1 Победа—4
	1977	Иверия № 28—23 Укр 9—35	Укр 9—50 Победа—16 № 03—8 ПС 75—24	№ 43—4	№ 20—5 Кириу—6 Русская—4 ПС 40—1 Победа—4 № 03—17

1	2	3	4	5	6
	1978	№ 28—23	Укр 9—50 Победа—16	Иверия № 43—4 № 03—8 № 20—5	 ИВЕРИЯ ИС-75—24 Укр-41—35 Кириу—6 Русская—4 ПС40—1 Победа—4 № 03—17

В зависимости от частоты попадания форм в ту или иную группу, была проведена оценка их устойчивости к курчавой мелколистности, позволяющая говорить о поведении форм на протяжении ряда лет, благодаря чему может быть дана более полная характеристика степени восприимчивости форм (табл. 4). Форма № 20 — 5. Кириу — 6, Русская — 4, ПС 40 — 11, Победа — 4, как показали наблюдения, сильно восприимчивы к курчавой мелколистности. Почти на протяжении всех лет учетов у них зарегистрирована сильная степень заболевания, особенно у формы № 03 — 17. К группе восприимчивых должны быть также отнесены: форма Украинская 9 — 35 и ПС 75 — 24, которые курчавость поражает в средней и сильной степени. Формы Победа 16 и № 03 — 8, несмотря на то, что у них преобладают годы со слабой степенью заболевания курчавой мелколистностью, из-за наличия годов, когда они поражаются ею сильно, должны быть отнесены к средне устойчивым. Сюда же при- мыкает и форма № 43 — 4.

К числу наиболее устойчивых форм относятся: Украинская 9 — 50 и № 28 — 23. Тот факт, что у настоящих форм за весь период наблюдений, включая сюда и год «вспышки» инфекции, была отмечена слабая степень заболевания или его отсутствие, позволит более уверенно отнести их к числу относительно устойчивых к курчавой мелколистности форм.

Изучение всего материала в целом подтвердило ценность использования метода искусственного создания полиплоидных форм в деле выведения высокопродуктивных сортов шелковицы на триплоидном уровне. Этот метод дает возможность получать формы шелковицы с сильно развитой вегетативной массой, дающих высокие урожаи листа, позволяет повысить кормовые достоинства листа, а также получать формы с малым количеством соплодий.

Все вместе взятое повышает ценность листа триплоидной шелковицы, как корма для гусениц тутового шелкопряда. В то же вре-

ми наблюдениями не отмечена повышенная восприимчивость триплоидной шелковицы к курчавой мелколистности. Среди последних, так же как и среди диплоидов, встречаются формы с различной степенью устойчивости.

В результате проведенной работы выделены слабо восприимчивые к курчавой мелколистности триплоидные формы, которые по степени заболевания и проценту развития болезни не превышают настоящие показатели относительно устойчивых диплоидных сортов и в частности контроля. Это говорит о том, что триплоиды также должны участвовать в процессе создания устойчивых к курчавой мелколистности сортов шелковицы. Анализ полученных данных позволяет сделать некоторые **заключения**:

Форма ПС 40 — 1, Кирину — 6 и Украинская 9 — 35 дали наиболее высокие показатели урожайности и продуктивности (на 3, 6 и 33%) выше контрольного сорта Иверия, но несмотря на это, из-за значительной подверженности заболеванию курчавой мелколистности непригодны для использования в зоне с наличием инфекции и могут рекомендоваться только при условии ее отсутствия.

Формы: Украинская 9 — 50 и № 28 — 23 по продуктивности дали показатели аналогичные сорту Иверия. Все три формы в слабой степени поражаются курчавой мелколистностью. Благодаря чему пригодны для размножения как в Восточной, так и в Западной Грузии, т. е. в районах с наличием и отсутствием этого заболевания.

Учитывая сложность проявления данного заболевания, внедрению настоящих форм в зоне наличия инфекции должно предшествовать широкое производственное испытание.



YDK 634.38

მ. კაკაულია, ი. პოპოკლიშვილი,  
რ. კვამაძე, ზ. ფუტყაძე

**წვილფოთოლა სისუპებით დაავადებული თუთის  
ზამთრის კალეპიგან ინფეციის გაღაცების შესწავლის შედეგები\***

დაავადება ფოთლის სიხუტუტე იაპონიის პირობებში ჯერ კიდევ გასული საუკუნიდან (1821) იყო შემჩნეული თუთის მცენარეზე. იაპონელი მკვლევარები დასაწყისში ამ ავადმყოფობას არაინფექციურ (ფუნქციონალურ) დაავადებად თვლიდნენ და მის გამომწვევ ძირითად ფაქტორად მცენარეების ინტენსიური ზრდის პერიოდში თუთის მრავალჯერად ექსპლუატაციას ასახელებდნენ. ეს შეხედულება გაბატონებული იყო 1931 წლამდე.

1931 წელს იგათამ და მაცუმოტომ (ციტირებულია ისინეს მიერ თანავეტორებით [2, 3] და ტახამას მიერ [11, 12]) დაადგინეს ავადმყოფობის ინფექციური ხასიათი. სახელდობრ, მათ შეამჩნიეს, რომ დაავადება გვხვდება არაექსპლუატირებულ ხეებზეც და ნერგებზე, რაც უშუალოდ დაავადებული ხეებიდან იყო მიღებული. მათ ჩაატარეს ხელოვნური დასენიანება მყნობით და იმ სამი სახის მწერით, რომლებიც უმეტესად სახლობდნენ დაავადებულ ხეებზე და მის ახლოს. შესწავლის შედეგად დაასკვნეს, რომ ინფექცია გადადის დაავადებული კვირტის ან კალმით მყნობისას საღ საძირეზე და ის გადაიტანება მწერით—*Eutetix discigitus*, რომელიც ამჟამად წოდებულია — *Hishimonus sellatus* Uhler. ამის საფუძველზე გამოთქვეს მოსაზრება, რომ ეს დაავადება ვირუსული ხასიათისაა. მიღებულმა შედეგებმა არსებითად შეცვალეს დაავადების ფიზიოლოგიური ფაქტორის ურყევი თეორია და დაიწყო ახალი ეპოქა ამ დაავადების შესწავლის ისტორიაში.

\* ნაშრომი იბეჭდება განხილვის წესით.

დაავადების ინფექციური ხასიათი იმავე წელს (1931) დაბტკივე-  
ბული იყო აკიას, ხოლო 1932 წელს ივანეს მიერ (ციტირებულია ტ. ისინეს  
მიერ) [2, 3].

კავაიმ 1933 წელს (ციტირებულია ისინეს მიერ) [3] ავადებული მცენარის ფოთლის ქსოვილი და მასში შეამჩნია x სხეულ-  
კები, რითაც საბოლოოდ დადგინდა ამ დაავადების ვირუსული ხასიათი.  
შემდგომში საკაიმ [10], მთელი რიგი სერიული ცდებით, საბოლოოდ და-  
ადგინა დაავადების ინფექციური ხასიათი და აღნიშნა, რომ ამ დაავადე-  
ბის გავრცელებაში დიდი მნიშვნელობა აქვს მწერებს.

თუთის ფოთლის სიხუტუქის ვირუსული ბუნება აღიარებული იყო  
1967 წლამდე, ხოლო 1967 წელს იაპონელი მკვლევარები დოი და თანავე-  
ტორები ისინე [1, 4] თუთის ფოთლის სიხუტუქეს მიაკუთვნებენ მიკო-  
პლაზმურ დაავადებათა ჯგუფს.

საქართველოს პირობებში თუთის ფოთლის სიხუტუქე შემჩნეული  
იყო 1964 წელს ქუთაისის მეაბრეშუმეობის ზონალური სადგურის ექს-  
პერიმენტული ბაზის გრუზიას ჭიშის ნარგაობაზე. შესწავლის შედეგად  
დადგინდა, რომ ის ინფექციური დაავადებაა და ანალოგიურია იაპონიაში  
ცნობილი თუთის ჯუჯიანობის. მისი გადაცემაც ხდება დაავადებული  
კვირტების და კალმების მცნობისას საღ საძირეზე [6, 7, 13] და ასევე  
იგი ვრცელდება იმავე გადამტანი მწერით [9].

იაპონელი მკვლევარები საკაი [10], ტახამა [11, 12], ისინე, კავაიჩი-  
და ოკამურა [2] აღნიშნავენ, რომ ამ დაავადების ინფექციის გადაცემა  
მცნობისას ხდება არა ჩვეულებრივ მარტივად, როგორც ეს სხვა ვირუ-  
სული დაავადებისათვის არის დამახასიათებელი, არამედ განსხვავებულად-  
სახელდობრ, ხშირია შემთხვევა, როდესაც ინფექცია მოზამთრე დაავადე-  
ბული კვირტით ან კალმით მცნობისას საღ საძირეს არ გადაეცემა და  
ხშირ შემთხვევაში თვით ნამყენზე და დაავადებულ კალამზე ავადმყოფო-  
ბის ნიშნები არ აღინიშნება, როგორც ისინი აღნიშნავენ ერთგვარ „გაჯან-  
სალებას“ აქვს ადგილი. ანალოგიური მოვლენა საქართველოს პირო-  
ბებშიც იყო შემჩნეული [8].

აღნიშნული მოვლენა მეტად საყურადღებოა და მას დიდი პრაქტი-  
კული მნიშვნელობა აქვს. სახელდობრ, თუ მოზამთრე კალმებიდან ფოთ-  
ლის სიხუტუქის ინფექციის გადაცემას ადგილი არა აქვს, მაშინ თავიდან  
იქნება აცილებული დაავადებული კალმების გაუსენიანებისათვის საჭირო  
ყოველგვარი პროფილაქტიკური და თერაპევტული ღონისძიებანი და  
შესაძლებელი იქნება დაავადებულ ზონაში დამზადდეს (მით უმეტეს გა-  
რეგულად „სალი“ ხეებიდან) კალმები, განსაკუთრებით ისეთი ჭიშების,  
რომლებიც დაუავადებელ ზონაში არ მოგვეპოვება.


დაავადებული ზამთრის კალმებით ფოთლის სიხუტუქის ინფექციის  
გავრცელების საკითხის შესწავლა წარმოებდა საქ. სას.-სამ. ინსტიტუ-

ტის მეაბრეშუმეობის სასწავლო-კვლევით ფაკულტეტზე 1974—78 წწ.

კვლევის ობიექტად აღებული იყო დაავადებისადმი მიმდებარე ჯიშო-გრუზიას და შედარებით გამძლე ჯიშების—თბილისურისა და ოშიმასა და მოზამთრე სალი და დაავადებული კალმები. კალმების დამზადება ტექნიკური თებერვლის თვეში. სალი კალმები მზადდებოდა დიღმის სასწავლო-საცუ-დელი მეურნეობის მეთუთეობის განყოფილებაში, ხოლო დაავადებული—ქუთაისის მეაბრეშუმეობის ზონალური სადგურის ექსპერიმენტულ ბა-ზაში. ცდაში ჩართული იყო ვარიანტი—ჯიშ ოშიმას კალმების დამზადება დაავადებულ ზონაში გარეგნულდ „სალი“ ხეებიდან. აღირიცხებოდა კალმების დაფესვიანების, კვირტების შეხორცების, ნერგებისა და ნამყე-ნების დაავადების პროცენტი. კალმებით დაფესვიანება ჩატარდა მარტის თვეში, ხოლო კვირტებით მყნობა—მაისის თვეში.

პირველ ცხრილში მოტანილია დაავადებული ზამთრის კალმების დაფესვიანების და მათგან აღზრდილი ნერგების დაავადების მაჩვენებლები. როგორც ცხრილის მასალებიდან ჩანს, ზამთრის კალმებიდან აღზრდილ ნერგებზე დაავადება გადაეცა მხოლოდ მიმდებარე ჯიშ გრუზიას შემ-თხვევაში საკმაოდ მაღალი პროცენტით (62, 5%), ხოლო შედარებით გამ-ძლე ჯიშ თბილისურის და ოშიმას შემთხვევაში დაავადება არ აღნიშნულა. რაც შეეხება გახარების პროცენტს, იგი სამივე ჯიშის შემთხვევაში გა-ცილებით მაღალია სალი კალმების დაფესვიანებისას დაავადებულთან შედარებით.

ამავე ცხრილში მოტანილია ზამთრის კალმებიდან აღებული კვირ-ტების გახარებისა და ნამყენების ფოთლის სიხუჭუჭით დაავადების მა-ჩვენებელი. როგორც ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, ნამყენების დაავადე-ბა ამ შემთხვევაშიც მხოლოდ მიმდებარე ჯიშ გრუზიაზე აღინიშნა (26,6%). რაც შეეხება შედარებით გამძლე ჯიშ ოშიმასა და თბილისურს, მასზე დაავადება არ შემჩნეულა. ის ფაქტი, რომ კვირტით მყნობისას ჯიშ გრუზიას შემთხვევაში დაავადების პროცენტი გაცილებით უფრო დაბა-ლია, ვიდრე კალმების დაფესვიანებისას, შესაძლებელია აიხსნას იმით, რომ კვირტით მყნობისას ინფექციის საწყისი ერთ კვირტში ნაკლები კონ-ცენტრაციითა, ხოლო კალამი რამოდენიმე ცალ კვირტს შეიცავს; რაც შეეხება კვირტების გახარების პროცენტს, იგი საკმაოდ მაღალია, როგორც სალ, ასევე დაავადებული კვირტების მყნობისას და მათ შორის განსხვა-ვება თითქმის არ აღინიშნება. თუმცა უნდა შევნიშნოთ, რომ წინა წლებში ჩატარებული ცდების შედეგად დაავადებული კვირტის მყნობისას სა-კმაოდ ძლიერ ეცემა გახარების პროცენტი [7]. უნდა აღინიშნოს, რომ გვხვდება ისეთი შემთხვევაც, როდესაც დაავადებული კვირტის გახარების პროცენტი უფრო მაღალია, ვიდრე სალის. აღნიშნული მოვლენა შემჩნე-ულია იაპონელი მკვლევარების ისინე, კავაიტასა და ოკამურას მიერაც. [2] და მისი მიზეზების ახსნა ცალკე კვლევის საგანს წარმოადგენს.



თაავადებული ზამთრის კალმების დაფესვიანებისას კვირტების წებორცებზე,  
ნერგებისა და ნამუყენების დაავადების მაჩვენებლები

ეროვნული  
სტატისტიკის სამსახური

№	ვ ა რ ი ა ნ ტ ი	კალმების დაფესვა, %	ნერგების დაავად., %	ნამუყენ. გახარება, %	ნამუყენ. დაავად., %	შ ე ნ ი შ ე ნ ა
1	გრუზია-დაავად.	28,8	82,5	85,6	28,6	კალმები და მზადებული
2	გრუზია-სალი კონტროლი	53,5	0	87,4	0	ძლიერ დაავადებული ხე-
3	თბილისური-დაავად.	10,2	0	77,2	0	ებიდან გამოყვანილად „სალი“ კა-
4	თბილისური-სალი-კონტ.	35,2	0	79,6	0	ლმები და მზადებული იყო
5	ოშიმა-დაავადებული	22,7	0	77,2	0	დაავადებულ ზონაში—ქუ-
6	ოშიმა-გარეგნულად „სალი“	49,8	0	90,3	0	თაიში. სალი—დაავადებ-
7	ოშიმა-სალი-კონტროლი	47,7	0	76,3	0	ბელ ზონაში—დიდობაში

ამგვარად, ჩვენი ცდების შედეგად დადგინდა, რომ დაავადებისადმი ძლიერ მიმდებარე ჩიშის შემთხვევაში ადგილი აქვს ზამთრის კალმებიდან ფოთლის სიხუტუჭის ინფექციის გადაცემას, წინააღმდეგ იპონელი მკვლევარების მონაცემებისა, რომლებიც აღნიშნავენ, რომ მოზამთრე კალმებიდან ინფექცია არ გადაეცემა, მაგრამ უნდა აღნიშნოს, რომ ინფექციის გადაცემა შეზღუდულია და იგი დიდადაა დამოკიდებული თუთის ჭიშხე. შედარებით გამძლე თუთის ჭიშხების მოზამთრე კალმებიდან ინფექცია არ გადაეცემა. ჭიშხებს შორის ინფექციის გადაცემაში ასეთი განსხვავება, ვფიქრობთ, უნდა აიხსნას ფოთლის სიხუტუჭის გამომწვევი ორგანიზმის კონცენტრაციით მიმდებარე და შედარებით გამძლე ჭიშხის მცენარეებში. მისი ტიტრი გაცილებით მაღალია მიმდებარე ჭიშხი.

ჩვენ მიერ დაფესვიანებული და დამყნული იყო მიმდებარე ჭიშხ გრუზიას და შედარებით გამძლე ჭიშხ ოშიმას მწვანე სალი და დაავადებული კალმები (ცხრ. 2). ცხრილის მონაცემების მიხედვით მწვანე კალმებიდან განვითარებული ნერგების და ნამუყენების დაავადების პროცენტი, როგორც ჭიშხ გრუზიას, ასევე შედარებით გამძლე ჭიშხ ოშიმას შემთხვევაში ასს აღწევს.

მწვანე კალმებზე მიღებული ჩვენი შედეგები ემთხვევა იპონელი მკვლევარების მონაცემებს იმის შესახებ, რომ მწვანე კალმებიდან ფოთლის სიხუტუჭის ინფექცია გადაეცემა სწრაფად და საკმაოდ მაღალი პროცენტით. ასე, მაგალითად, როგორც მიმდებარე, ასევე შედარებით გამძლე ჭიშხ ოშიმას შემთხვევაში დაავადების პროცენტი ასს აღწევს.



ეს ალბათ იმით უნდა აიხსნას, რომ ფოთლის სიხუტუქის გამომწვევი პერიოდში მეტად აქტიურია და მისი ტიტრი მცენარეში მაღალია.

თუთის ფოთლის სიხუტუქეს, ისევე, როგორც სხვა ქვეყნებში მიკოპლაზმურ დაავადებებს, ახასიათებს ლატენტური ბუნება. პირველად როს გამომწვევი ორგანიზმი ფარული სახითაა და არა აქტიურია. იპონელი მკვლევარები (ისინე [3], ისიდამა [5]) ზამთრის კალმებიდან ინფექციის გადაუცემლობის შესახებ გამოთქვამენ მოსაზრებას, რომ შესაძლებელია ზამთრის კალმებში გამომწვევი ორგანიზმი მოსვენებულ მდგომარეობაშია, ანდა ის ამ პერიოდში გადანაცვლებულია ტოტებიდან ფესვებისაკენ, ან გამომწვევი ორგანიზმის რიცხობრივად გაზრდა დროებით შეწყვეტილია, ხოლო არსებული იზრუნება და იკარგება აღნიშნული იმსახურებს სერიოზულ ყურადღებას და, ჩვენი აზრით, უთუოდ დაკავშირებულია გამომწვევი ორგანიზმის ლატენტურობასთან, რომელიც შესაძლებელია მცენარის განვითარების პირობებისა და მიხედვით შეიცვალოს და გადავიდეს აქტიურ მდგომარეობაში.

## ცხრილი 2

დაავადებული მწვანე მზარდი კალმების დაფესვიანების, კვრტების გაზარების, ნერგებისა და ნაყუნების დაავადების მაჩვენებლები

№	ვარიანტი	კალმების და- ფესვიანე- ბის %	ნერგების დავალებ- ბის %	კვრტების გაზარების %	ნაყუნების დავალების %
1	გრუზია დაავადებული	28,8	100,0	43,6	100,0
2	გრუზია-სალი-კონტროლი	32,5	0	63,8	0
1976 წელს დამზადებული ცოცხალი პარკის ნედლეულის საშუალო შეწონილი აბრეშუმთანობა ნაცვლად ნორმირებული 17,0%-ისა 17,6%-ს შეადგენს, რის შედეგად პარტია პარკის საანგარიშო მასა ფიზიკურ მასასთან შედარებით 362,6 კგ-ით გაიზარდა. 1977 წელს აბრეშუმთანობის საშუალო შეწონილი მაჩვენებელი 17,7%-ით განისაზღვრა, რის შესაბამისად საანგარიშო მასა, 555,2 კგ-ით სჭარბობს პარტია პარკის ფიზიკურ მასას. ერთი მხრივ აბრეშუმთანობით საანგარიშო მასის მომატებამ, მეორე მხრივ დამზადების უხარისხო პარკის რაოდენობის შემცირებამ და ამასთან რჩეული, პირველი და მეორე ხარისხის პარკის რაოდენობის გაზრდამ განაპირობა ის, რომ ბოლნისის რაიონის მებარეშემეებმა დამატებით მიიღეს: 1976 წელს 8162 მანეთი, 1977 წელს კი 10521 მანეთი, იმ თანხასთან შედარებით, რაც უნდა მიეღოთ მოქმედი სტანდარტით — 8417—57.

ბოლნისის რაიონის საბჭოთა მეურნეობებზე 1977 წელს ფაქტიური აბრეშუმთანობით პარკის ნამატი და ფულადი ანაზღაურება მოტანილია მე-2 ცხრილში. მოტანილი მასალების მიხედვით 11 საბჭოთა მეურნეო-

თეხილი პარკის პარკის ხარისხობრივი შეფასებისა და სარგებლობის  
1976 წლის მიწვევები



პარკის ხარისხი	სტ. 21041-75		სტ. 0417-57		სარგებლობის მისი კვ		მ	მ	მ
	მისი კვ	%	მისი კვ	%	სტატ. 21041-75	სტატ. 0417-57			
ძველი	2735,1	22,19	1971,6	14,91	2663,6	1971,6	+ 994,0	8,20	+ 8150,80
I ხარ.	450,3	3,62	296,5	2,36	467,3	296,5	+ 170,8	7,40	+ 1263,92
II ხარ.	3300,5	26,41	3128,4	24,93	3410,2	3128,4	+ 281,8	6,10	+ 1718,98
III ხარ.	3843,6	30,60	4503,2	35,68	3951,0	4503,2	- 552,2	5,00	- 2761,00
უხარისხი	2211,5	17,13	2735,5	21,81	2211,5	2735,5	- 524,0	0,40	- 209,40
შეუძლია	0,1	0,05	- 33,9	0,11	6,1	13,9	- 7,8	0,20	- 1,36
სულ	12349,1	100	12349,1	100	12911,7	12349,1	+ 362,6	-	+ 8162,74

დაქვეყნებული მარკების რაოდენობა—17,2

1977 წლის მიწვევები

ძველი	3562,7	22,40	3086,7	19,40	3711,4	3086,7	+ 624,7	8,20	+ 5151,72
I ხარ.	574,2	3,60	340,5	2,10	578,4	340,5	+ 237,9	7,40	+ 1908,46
II ხარ.	5522,0	32,80	4559,2	28,60	5420,9	4559,2	+ 871,7	6,10	+ 5317,27
III ხარ.	4327,3	27,20	4713,5	30,10	4500,7	4793,5	- 292,8	5,00	- 1464,00
უხარისხი	2237,7	14,00	3143,8	19,80	2237,7	3143,8	- 906,1	0,40	- 362,40
შეუძლია	—	—	0,2	—	—	0,2	- 0,2	0,20	- 0,4
სულ	15923,9	100	15723,9	100	16479,1	15723,9	+ 555,2	-	+ 10521,21

დაქვეყნებული მარკების რაოდენობა—17,7%

ბიდან მხოლოდ ქვეშის მერძვეობა-მეკარტოფილეობის საბჭოთა მეურ-  
ნეობის მიერ ჩაბარებული პარკის ნედლეულის ფაქტიური აბრეშუმინო-  
ბაა დაბალი ბაზისურ ნორმატივზე, 16,9% ნაცვლად 17,0% ნაცვლად ქვე-  
დევალ პარკის პარტიის საანგარიშო მასა, ფიზიკურ მესწავლეობაში  
3,4 კგ-ით შემცირდა, რაც ფულად გამოხატულებაში 21 მან. და 62 კა-  
პიკს შეადგენს. დანარჩენ მეურნეობებში პარკის საანგარიშო მასა 555,2  
კგ-ით მეტია ფიზიკურ მასასთან შედარებით, რაც ფულად ერთეულში  
3556 მან. 56 კაპ. შეეფარდება.

აბრეშუმხვევის ცოცხალი პარკის ახალი სტანდარტის 21061—75-ის  
ნორმატივებით ნედლეულის შეფასება და ფაქტიური აბრეშუმინობით,  
მეაბრეშუმეებთან ანგარიშსწორება სტიმულის მიმცემია წარმოებული  
იქნეს მაღალი აბრეშუმინობის მქონე ნედლეული, რადგან ბაზისური  
აბრეშუმინობის გაზრდა ერთი პროცენტით ყოველ 100 კგ-ზე ხუთი კგ  
პარკის ნამატს შეესაბამება, რაც მეაბრეშუმეების მატერიალური დაინ-  
ტერესების საწინდარია.

ცხრილი 2

1977 წელს საბჭოთა მეურნეობებზე ვაცემული დამატებითი თანხა

ფაქტიური აბრეშუმინობით

რიგითი №	მეურნეობის დასახელება	დამზადებული ცოცხალი პარ- კის სტრუქტურა, კგ	ცოცხალი პარ- კის აბრეშუმ- ინობა, %		ნამატი	
			ბაზის- ური	ფაქტი- ური	კგ	მან
1	ბოლნისის მევენახეობის საბჭ. მე- ურნეობა	4354,4	17,0	17,8	150,9	943—46
2	არახლოს მერძვეობა-მეკარტო- ფილეობის საბჭოთა მეურნეობა	2560,0	17,0	17,8	94,7	615—19
3	ფახრალის მერძვეობა-მეკარტოფ. საბჭოთა მეურნეობა	3299,9	17,0	17,9	122,8	782—84
4	სარახლოს მერძვეობა-მეკარტოფ. საბჭოთა მეურნეობა	1842,0	17,0	17,4	31,8	196—60
5	რატევიანის მეცხოველეობის საბ- ჭოთა მეურნეობა	1519,2	17,0	17,5	33,6	213—88
6	კაჩულოს სახელმწიფო სანერგე	819,0	17,0	17,4	14,7	94—98
7	თამარისის მეფრინველეობის ფაბ- რიკა	314,1	17,0	17,5	6,4	38—80
8	სკოლები	1372,9	17,0	17,8	50,4	331—30
9	სხვადასხვა ორგანიზაციები	1433,8	17,0	17,8	52,3	335—26
10	კახეთის საბჭოთა მეურნეობა	102,0	17,0	17,3	1,0	5—87
11	ქვეშის მერძვეობა-მეკარტ. საბ- ჭოთა მეურნეობა	805,1	17,0	16,9	-3,4	-21,62
		18422,4	17,0	17,7	+558,6 -3,4 +555,2	+3558—18 -21—62 +3536—56

ცოცხალი პარკის ახალ სტანდარტში 21061—75 აბრეშუმის ნორმატივები ჯიშებისა და ჰიბრიდების მიხედვით განსხვავებული მაღალპროდუქტიული ჰიბრიდებისათვის ნორმატივი 19% დება, ხოლო სამრეწველო ჰიბრიდების—კახური X იმერული ბრუნებული კომბინაციის პარკისათვის 17,0%-ია გათვალისწინებული, პერმშრალი პარკის სტანდარტით (21060—75) კი ხამი ძაფის გამოსავლიანობის ერთნაირი ნორმატივებია დადგენილი: რჩეული პარკისათვის—36,0% (ქვედა ზღვარი 34,1%), I, II, III. ხარისხებისათვის შესაბამისად—34,0, 32,0 და 27,0% ქვედა ზღვრებით—32,1, 27,1 და ნებისმიერი.

პარკის გარსის გარეგანი დახასიათებით დახარისხებული, თითოეული ხარისხის პარკის კონდიციური მასის საანგარიშო მასაზე გადასაანგარიშებლად, კონდიციური მასა მრავლდება ძაფის ფაქტიურ გამოსავლის პროცენტზე და იყოფა ბაზისურ ნორმატივზე. იმ შემთხვევაში თუ პირველი ხარისხის პარკიდან ძაფის გამოსავალი 36,0-ან მეტ %-ს შეადგენს, მაშინ მთლიანი მასა რჩეულს მიეკუთვნება. ასევე მომდევნო ხარისხების პარკიდან თუ ძაფის ფაქტიური გამოსავალი წინა ხარისხის ნორმატივის შესაბამისია, ამ შემთხვევაშიც იმავე ხარისხის შეფასებას მიიღებს. ამასთან ძაფის ფაქტიური გამოსავლიანობის შესაბამისად მატულობს ან მცირდება პარკის საანგარიშო კონდიციური მასა.

ახალ სტანდარტში შეცვლილია ტენის განსასაზღვრავად საშუალო სინჯის აღებისა და კონდიცირების მეთოდი. სახელდობრ: რა მასისაც არ უნდა იყოს საშუალო სინჯი, ანალიზური სინჯის მასა 800 გრამს უდრის. ამასთან ისაზღვრება პარკის პირველადი დამუშავების ბაზაზე აღებულ საშუალო სინჯის მასასა და საკონდიციო ფაბრიკაში მიღებულ მასას შორის სხვაობის პროცენტი. მაგალითად: 58 კგ-ის შემთხვევაში სხვაობა შეადგენს  $\frac{60-58}{58} = 3,4\%$ . ტენის ეს რაოდენობა ემატება ანალიზური სინჯის კონდიცირებით მიღებულ ტენის რაოდენობას, თუ მაგალითად ტენის რაოდენობა 8,0%-ს შეადგენს, მაშინ  $8 + 3,4 = 11,4\%$ . რაც იმას ნიშნავს, რომ პარკის პირველადი დამუშავების ბაზაზე საშუალო სინჯის აღების მომენტში პარკში ტენის შემცველობა 11,4%-ს უდრიდა.

მოქმედი სტანდარტით 8493—57 ანალიზური სინჯის 800 გ-ის ნახევარი საკონდიციო აპარატის ერთ კალათაში თავსდება, რაც საჭიროებს პარკის დასრესას, კალათის მოცულობის სიმცირის გამო. ახალი სტანდარტით კი 400 გ ორ თანაბარ ნაწილად იყოფა და მუდმივ მშრალ წონამდე დაყვანა აპარატის ორ კალათში წარმოებს, რის შედეგად შენარჩუნებულია პარკის მთლიანობა, შემცირებულია პარკის შრობის ხანგრძლივობა 3—4 საათით და ამასთან გამოირიცხულია დასრესილი ჭუპრებიდან ტენთან ერთად ცხიმის აორთქლების შემთხვევები.

პარკის შრობის დასასრულს, ბოლო ორი წონის მაჩვენებლებს შორის სხვაობა მოქმედი სტანდარტით დასაშვებია 50 მლგ, ხოლო ახალი

სტანდარტით კი 100 მილიგრამი, რაც ნედლეულის დამამზადებელი ორგანიზაციების სასარგებლოდ უნდა ჩაითვალოს. ამასთან შეცვლილია ტენის განსაზღვრის მეთოდიც. თუ ორ კალათში მოთავსებულ  $11 \frac{1}{2}$  სანტიმეტრიანი კონდიციონერებით განსაზღვრულ ტენის ოდენობას შორის  $11 \frac{1}{2}$  სანტიმეტრიანი კონდიციონერებით განსაზღვრულ ტენის ოდენობას შორის სხვაობა 0,5%-ზე დაბალი აღმოჩნდა, მაშინ პარკის ჩამბარებელსა და შემსყიდველ ორგანიზაციებს შორის ანგარიშსწორებისათვის ეს უკანასკნელი სიდიდე მიიღება. იმ შემთხვევაში კი თუ საკონტროლო სინჯის კონდიციონერითაც ორ განმეორებას შორის სხვაობა 0,5%-ს სჭარბობს, ოთხივე განმეორების საშუალო არითმეტიკული გამოიანგარიშება.

1976—1977 წლებში ბოლნისის პარკის პირველადი დამუშავების ბაზაში ჰაერმშრალი პარკიდან აღებული საშუალო სინჯის შეფასების მაჩვენებლები წარმოდგენილია მე-3 ცხრილში.

ცხრილში მოტანილი მასალების მიხედვით, 1976 წელს რჩეული პარკის ძაფის ფაქტიური გამოსავალი 34,0%-ს შეადგენს და პირველი ხარისხის პარკისათვის დადგენილ ნორმატივს შეესაბამება. ამიტომ 812,4 კგ რჩეული პარკი (გარისის გარეგნული შეფასებით) საბოლოოდ პირველ ხარისხს მიეკუთვნება. მეორე და მესამე ხარისხის პარკიდან ხამი ძაფის გამოსავლიანობის მიხედვით საანგარიშო მასის ნაშატი 123,6 კგ-ს შეადგენს. 1977 წელს მეორე ხარისხის პარკი 2394,9 კგ ხამი ძაფის გამოსავლიანობით 34,6% პირველ ხარისხს მიეკუთვნა და 0,6%-ით სჭარბობს პირველი ხარისხისათვის დადგენილ ნორმატივს, რის შედეგად საანგარიშო მასა 42,5 კგ-ით მეტია კონდიციურ მასასთან შედარებით.

ამრიგად ძაფის ფაქტიური გამოსავლიანობით ბოლნისის სათაო პარკისაშრობმა მრეწველობიდან მიიღო 1976 წელს 12678 მანეთით, ხოლო 1977 წელს 10046 მანეთით მეტი იმ თანხასთან შედარებით, რაც გაცემული იყო ამავე პარტია ცოცხალი პარკის ღირებულების ანაზღაურების დროს.

აბრეშუმხვევიას პარკის ნედლეულზე დამტკიცებული ახალი სტანდარტები, თუ ერთი მხრივ ხარისხობრივი მაჩვენებლების ობიექტურ შეფასებას იძლევა, მეორე მხრივ, ახალ გზებს სახავეს კონტროლი გაეწიოს ნედლეულის ოდენობრივ მაჩვენებლის, ე. ი. ნედლეულიდან ხმელი პარკის გამოსავლიანობის ნორმებს.

როგორც ცნობილია, ჰაერმშრალი პარკის რაოდენობის მოსალოდნელი პროგნოზი ისაზღვრება ცოცხალი პარკიდან ჰაერმშრალი პარკის გამოსავლიანობის კოეფიციენტით. ამ მაჩვენებელს ორი ძირითადი ფაქტორი განაპირობებს: აბრეშუმშიანობა და პარკში ტენის შემცველობა. ცოცხალი პარკის ახალი სტანდარტით პარკის დამამზადებელი ცალკეული ბაზის საშუალო შეწონილი აბრეშუმშიანობის პროცენტის მიხედვით,

Հայրենիցու խնայելու և արտադրության շարժման համակարգի մասին ԳՕՏ-21000-75-ի  
1976 թվականի ցուցանիշներ

Երևան, 1976

ԳԽԿ Ը 3



Արտադրող	Նախնական	Նախնական ցուցանիշներ			Գնահատված ծախսերի փոփոխություններ	Նախնական ցուցանիշներ		Վերականգնողական	Նախնական ցուցանիշներ	
		Գնահատված	Նախնական ցուցանիշներ	Նախնական ցուցանիշներ		Գնահատված	Նախնական ցուցանիշներ		Վերականգնողական	Նախնական ցուցանիշներ
1	Արտադրող	2733,1	812,4	—	25,20	22427—82	—	—	34,0	34,0
2	I նախնական	430,2	51,0	863,4	22—40	3022—02	19340—16	- 6409,68	34,0	34,0
3	II նախնական	3200,5	1596,7	1611,5	19—00	20123—05	20618—50	+ 10425,45	32,0	32,5
4	III նախնական	3843,6	1667,4	1766,2	15,79	19229—00	27729—34	- 5161,34	27,0	28,6
5	Ընդամենը	2211,5	519,3	519,3	1,70	884,60	986—10	- 101,50	—	—
		12547,0	4626,8	4760,4		65995—49	78674—10	+ 19088,28 - 6409,68 + 12678,61		Նախնական ցուցանիշներ 31,24

1977 թվականի ցուցանիշներ

1	Արտադրող	3562,7	477,0	490,2	25,20	30433,48	12257,04	- 18080,44	34,0	37,0
2	I նախնական	574,2	5,0	3442,4	22,40	4428,16	94307,76	+ 50281,60	34,0	34,0
3	II նախնական	3222,0	2094,9	—	—	33128,49	—	- 33128,48	32,0	34,6
4	III նախնական	4327,3	2029,9	2112,7	15,79	32903,20	33169,29	+ 10665,89	27,0	28,1
5	Ընդամենը	2227,7	633,2	633,2	1,90	895,08	1203,27	+ 308,19	—	—
		15923,9	8540	5678,6		91388,71	101437,46	+ 61255,68 - 51208,91 + 10046,77		Նախնական ցուցանիշներ 32,1



სათანადო ფორმულის გამოყენებით შესაძლოა შემოწმდეს ცოცხალი პარკიდან ჰაერმშრალი პარკის გამოსავლიანობის ნორმები. ზოლნისის პარკის პირველადი დამუშავების ბაზაზე 1976 წელს დამუშავდა 12547 კგ ხარისხობრივი პარკის ნარევი. ჩაბარებულია მტვერის მშრალი პარკი კონდიციური მასით 4638,8 კგ, შესაბამისად კოეფიციენტი უდრის— $12547 : 4638,8 = 2,70$ -ს. იმავე ცოცხალი პარკის საშუალო შეწონილი აბრეშუმთან უდრის 17,6%-ს. ფორმულით გამოანგარიშების შემთხვევაში ცოცხალი პარკიდან ჰაერმშრალი პარკის გამოსავლიანობის კოეფიციენტი უდრის 2,70-ს და ფაქტიური სიდიდის იდენტურია.

### დასკვნა

თუთის აბრეშუმხვევიას ცოცხალი პარკის ახალი სტანდარტი 21061-75, რომელსაც ჩვენი ქვეყნის მეაბრეშუმეობის ისტორიაში პირველად საფუძვლად დაედო მეაბრეშუმეებთან ანგარიშსწორება ჩაბარებული პარკის ნედლეულის არა ფიზიკური, არამედ საანგარიშო მასით ბაზისური და ფაქტიური აბრეშუმთანობის შესაბამისად, უდავოდ სტიმულს იძლევა მაღალხარისხიანი პარკის წარმოების საქმეში, რაც დაადასტურა ბოლნისის პარკის პირველადი დამუშავების ბაზაში ამ სტანდარტის ორი წლის მანძილზე გამოცდამ. 1976 წელს საანგარიშო მასით ბაზას მოემატა 362,6 კგ ცოცხალი პარკი, ხოლო 1977 წელს 555,2 კგ.

აბრეშუმთანობის ნორმატივი 17,0%, საქართველოში გავრცელებული სამრეწველო ჰიბრიდის—კახური X იმერულის და შებრუნებული კომბინაციისათვის ფაქტიურად გამართლებულია, რადგან 1976 წელს ბაზისათვის საშუალო მაჩვენებელი 17,6%-ს უდრის, ხოლო 1977 წელს —17,7%-ს.

დამზადების უხარისხო პარკიდან სუფთა ყრუ პარკის გადაადგილება მესამე ხარისხში გამართლებულად უნდა ჩაითვალოს, რადგან მოქმედი სტანდარტით 8417—57-ით, ასეთი პარკის ერთი კგ ღირებულება 40 კაპ. შეადგენს, ხოლო მრეწველობაზე ჩაბარების დროს კი 14 მან. და 13 კაპ. მესამე ხარისხის ღირებულების 10,0% დაკლებით.

ჰაერმშრალი პარკის ახალ სტანდარტში ტენის შემცველობის განსაზღვრისათვის აღებული სინჯის ორ თანაბარ ნაწილად გაყოფა და აპარატის ორ კალათში შრობა სწორად არის გათვალისწინებული, რადგან 400 გ პარკის მოთავსება ერთ კალათში პარკის დაუსრესად მოუხერხებელია და ამასთან შრობის ხანგრძლივობა 3—4 საათით მეტია.

ნედლეულის დამამზადებელ ორგანიზაციებსა და მრეწველობას შორის ანგარიშსწორება აბრეშუმის ხამი ძაფის ფაქტიური გამოსავლიანობით გამართლებულად უნდა ჩაითვალოს, რაც არსებული რეზერვების

გამოვლინებას უწყობს ხელს, 1976 წელს ბოლნისის სათავე პარკის  
შრობმა ამის საფუძველზე დამატებით მიღო 8949 მან., 1977 წელს კი  
9155 მან. ერევნული

აბრეშუმხვევიას ცოცხალი პარკის ახალი სტანდარტის ~~წარმოება~~  
შესაძლებელი ხდება კონტროლი გაეწიოს აგრეთვე ნედლეულის რაოდენ-  
ობრივ მაჩვენებელსაც, რაც გამოხატულებას პოვებს ცოცხალი პარკი-  
დან პაერმშრალი პარკის გამოსავლიანობის კოეფიციენტში. პარკის პირ-  
ველადი დამუშავების ბაზისათვის მიღებული საშუალო შეწონილი აბრე-  
შუმხვევიანობის პროცენტით შესაბამის ფორმულის გამოყენებით შესაძლოა  
ამ მაჩვენებლის განსაზღვრა, რაც ორი წლის შედეგებმა დაადასტურა.

---



УДК 638.2

ქ. კაჭავილი, ნ. კლინიკიანი,  
ბ. ბადაბაძე, ა. მარჯანიანი

**ნელე პარკის ხარისხობრივი შემაჯავნელობის გაუმჯობესების მიზნები  
დამუშავებისა და პირველადი დამუშავების პროცესში**

თუთის აბრეშუმხვევიას თეთრპარკიანი ჰიბრიდების პარკი მალა-ლი აბრეშუმთანობით, კარგი ამოხვევითი უნარით და გარსის ერთგვა-როვანი შეფერილობით ხასიათდება. ამ უპირატესობებთან ერთად უზა-რისხო პარკის მეტი რაოდენობა ახასიათებთ, რომელიც პირველადი და-მუშავების პროცესში კიდევ უფრო მატულობს დაუქუპრებელი ჭიებისა და დაავადებული ჭუპრების ხარჯზე. ამის შედეგად პარკის პირველადი დამუშავების ბაზაზე მიღებული პარკის პარტიის ხარისხების პროცენ-ტული შეფარდება აღარ შეესაბამება ჰაერმშრალი პარკის პარტიის ხარი-სხების პროცენტულ შეფარდებას, რაც ხშირად დავას იწვევს ნელე-ულის დამამზადებელ ორგანიზაციებსა და მრეწველობას შორის.

ჰაერმშრალ პარკზე მოქმედი სტანდარტის—ГОСТ—8493—57-ის ნორმატივების ნელეულის მწარმოებელ ორგანიზაციებსა და აბრე-შუმის მრეწველობის პარკსახვევ ფაბრიკებს შორის ანგარიშსწორება ზდება პარკის პარტიაში ცალკეული ხარისხის რაოდენობის შესაბამისად და არა ერთიანი მთლიანი მასით. ■

შევისწავლეთ პარკის დამზადებისა და პირველადი დამუშავების პრო-ცესში ცალკეული ხარისხის პარკის რაოდენობის დინამიკა. სამუშაო ჩა-ტარდა საქართველოს ორ ძირითად ზონაში: დასავლეთში—სუბტროპი-კულ-ტენიანი კლიმატის პირობებში ოჩამჩირის პარკის პირველადი და-მუშავების ბაზაში 1969—1970 წლებში, ხოლო აღმოსავლეთ ზონაში მშრალი კლიმატის პირობებში გურჯაანის პარკის პირველადი დამუშავების ბაზაში 1970—1971 წლებში. საცდელად აღებული იყო აბრეშუმხვევიას ჰიბრიდი დასავლეთ ზონაში — იმერული X კახური, ხოლო აღმოსავლეთ ზონაში—კახური X იმერული. პარკის მასიურად შემოზიდვის პერიოდში

პარკის ჩამბარებლების მიერ ერთ დღეს შემოტანილი პარტიებიდან დე-  
ბოდა ე. წ. გამსხვილებული პარტია 200 კგ ოდენობით. შავი ჩხარის ამო-  
ჩევის შემდეგ, პარტია იყოფოდა ორ თანაბარ ნაწილად. ერთი ნაწილი  
იღებოდა 3 ნიმუში, თითოეული 3 კგ ოდენობით, რომელიც ჩაყრის  
ბოდა ცოცხალ პარკზე მოჭმედი სტანდარტის ნორმატივებით ცალკეულ  
ხარისხებად და თავსდება დოლბანდის პარკუქანებში. გარდა ამისა  
აღებული იყო 60 კგ-იანი ნიმუში, რომელიც იმავე წესით დახარისხდა,  
დახარისხების შემდეგ ნიმუშები ისევ ერთად შეერია და გამოსაშრობად  
გაშვებული იყო ყუთებიანი პარკსაშრობის 1-ყუთში იმავე დღეს.

200 კგ-იანი პარტიის მეორე ნახევრიდან აღებული 60 და სამი სამ-  
კილოგრამიანი ნიმუშები დახარისხებული იყო სტანდარტის ნორმატი-  
ვების შესაბამისად და პარკის ხარისხების გაუარესებაზე გამოსაშრობამდე  
დაყოვნების გავლენის დასადგენად მოთავსებული იყო პარკის პირვე-  
ლადი დამუშავების ბაზაში მიღებულ პარკებთან ერთად 3 დღის განმ-  
ვლობაში. სამი დღის შემდეგ პირველი ნიმუშის ანალოგიურად გამოშრა  
ყუთებიანი პარკსაშრობში. ჰაერმშრალი პარკის ნიმუშები განმეორებით  
დახარისხდა. პირველ ცხრილში მოტანილია გერჯაანის პარკის პირველ-  
ადი დამუშავების ბაზაზე მიღებული შედეგები.

### ცხრილი I

პარტიაში ცალკეული ხარისხების პარკის პროცენტული შეფარდება გამოსაშრობამდე და  
გამოსაშრობის შემდეგ (ორი წლის საშუალო)

პარკის ხარისხები	პარკის პარტიის ხარისხობრივი შედეგნილობა, %-ობით					
	მიღების დღეს გადამუშავების შემთხვევაში			გამოსაშრობამდე პ-დლით დაყოვნე- ბის შემთხვევაში		
	ცოცხალი პარკის პარტიაში	ჰაერმშრალი პარკის პარ- ტიაში	სხვაობა, %	ცოცხალი პარკის პარტიაში	ჰაერმშრალი პარკის პარ- ტიაში	სხვაობა, %
რჩეული	27,80	27,50	—	28,70	23,70	—
I ხარისხი	6,80	6,60	—	7,00	6,50	-0,10
II ხარისხი	36,30	35,20	-0,10	34,00	33,40	-0,60
III ხარისხი	21,70	21,30	-0,40	22,50	22,20	-0,30
ხარისხიანი პარკი	92,60	92,10	-0,50	92,20	91,20	-1,00
უხარისხო პარკი	7,40	7,90	—	7,80	8,80	—

როგორც პირველ ცხრილში მოტანილი მაჩვენებლებიდან ჩანს, პარ-  
კის პირველადი დამუშავების ბაზაში მიღებული და იმავე დღეს გამოსა-  
შრობად გაშვებული პარკის პარტიაში ცალკეული ხარისხების მიხედ-

ვით მნიშვნელოვანი ცვლილება არ აღინიშნება. დამზადების რაოდენობის გამო-  
ვლინებული 7,40%-ის ნაცვლად, პირველადი დამუშავების შემდეგ უხ-  
არისხო პარკის საერთო ოდენობა 7,90%-ს შეეფარდება. ხაჭუნის საფარველ-  
კიდან უხარისხოში გადასული პარკის შედარებით მეტი რაოდენობა  
(1,0%-ი), ცოცხალი პარკის გამოშრობამდე დაყოვნების შემთხვევაში  
მიიღება. 3 დღით ცოცხალი პარკის გამოშრობამდე დაყოვნების და შემ-  
დეგ შრობის შედეგად ხარისხიანი პარკის საერთო რაოდენობა 1,0-ით  
შემცირდა და შესაბამისად გაიზარდა უხარისხო პარკის რაოდენობა  
(8,80% ნაცვლად 7,80%-ისა).

დამზადებისა და პირველადი დამუშავების პროცესში პარტია პარ-  
კში ცალკეული ხარისხის პროცენტული შედგენილობის უფრო მკვეთრი  
სხვაობა აღინიშნება საქართველოს დასავლეთ ზონაში სუბტროპიკულ-  
ტენიანი კლიმატის პირობებში, ოჩამჩირის პარკის პირველადი დამუშავების  
ბაზაში ჩატარებული სამუშაოების შედეგად მიღებული მონაცემები მო-  
ტანილია მე-2 ცხრილში. როგორც მიღებული შედეგებიდან ჩანს, პარკის

ც ხ რ ი ლ ი 2

პარტიაში ცალკეული ხარისხის პარკის პროცენტული შეფარდება გამოშრობამდე და  
გამოშრობის შემდეგ (ორი წლის საშუალო)

პარკის ხარისხი	პარკის პარტიის ხარისხობრივი შედგენილობა, %					
	მიღების დღესვე გადამუშავე- ბის შემთხვევაში			გამოშრობამდე 3-დღით დაყო- ვნების შემთხვევაში		
	ცოცხალი პარკის პარტიაში	პერმშრა- ლი პარკის პარტიაში	სხვაობა, %	ცოცხალი პარკის პარ- ტიაში	პერმშრა- ლი პარ- კის პარ- ტიაში	სხვაობა, %
რჩეული	20,61	19,54	-1,07	19,36	18,16	-1,20
I ხარისხი	7,32	7,08	-0,24	6,41	6,29	-0,12
II ხარისხი	29,27	28,34	-0,93	29,62	28,33	-1,29
III ხარისხი	26,29	27,24	-0,95	26,29	25,57	-0,72
ხარისხიანი პარკი	63,49	62,20	-1,29	61,68	58,35	-3,33
უხარისხო პარკი	16,51	17,80	—	18,32	21,65	—

მიღებისა და იმავე დღეს გადამუშავების შემთხვევაშიც კი აღინიშნება  
ცალკეულ ხარისხის პროცენტული შემადგენლობის ცვლილება, ასე, მა-  
გალითად: რჩეული პარკის რაოდენობა შემცირდა 1,07%-ით, I ხარისხის-  
სა 0,24%-ით, II ხარისხის 0,93%-ით, ხოლო III ხარისხის პარკის  
რაოდენობამ მოიმატა 0,95%-ით, რაც გამოწვეულია წინა ხარისხებიდან  
გადმოსული პარკით. შესაბამისად უხარისხო პარკის რაოდენობის ნამატი  
1,29%-ია. პარკის ხარისხობრივი შემადგენლობის უფრო მკვეთრი განსხ-  
ვავება მიიღება ცოცხალი პარკის გამოშრობამდე 3 დღით დაყოვნების

შემთხვევაში: როგორც ვხედავთ ხარისხიანი პარკის საერთო რაოდენობა 3,33%-ით შემცირდა და შესაბამისად უხარისხო პარკი ამავე რაოდენობით გაიზარდა.



დამზადებისა და პირველადი დამუშავების პროცესში ხარისხობრივი შემადგენლობის რაოდენობრივი ცვლილება, სახელდობრ: ხარისხიანი პარკიდან უხარისხოში ნაწილი პარკის გადანაცვლება გაპირობებულია პარტიაში დაუჭუპრებელი ჭიების და დაავადებული ჭუპრების შემცველ-პარკებზე ცხელი ჰაერის მოქმედების შედეგად პარკების დალაქიანებით ან პარკის დაყრუებით.

უნდა აღვნიშნოთ, რომ თუ წარმოების პირობებში ადგილი აქვს ცოცხალი პარკის პარტიის ცალკეული ხარისხის პროცენტული შეფარდების მკვეთრ სხვაობას ეს მხოლოდ პირველადი დამუშავებით არ უნდა იყოს გამოწვეული, რადგან ცოცხალი პარკის ხარისხების შესაბამისობა ამავე პარტია ჰაერმშრალ პარკის ხარისხებთან დამოკიდებულია სამ ფაქტორზე მაინც: ლაბორანტის სწორ მუშაობაზე, პარკის შრობის მეთოდზე და ჰაერმშრალი პარკის შენახვის პირობებზე მრეწველობაზე ჩაბარებამდე.

### და ს კ ვ ა

პარკის დამზადებისა და პირველადი დამუშავების პროცესში ხარისხიანი პარკის რაოდენობა მცირდება დაუჭუპრებელი და დაავადებული ჭიების და ჭუპრების შემცველი პარკების დალაქიანების და დაყრუების ხარჯზე. გურჯაანის პარკის პირველადი დამუშავების ბაზაში მიღებულ პარკის იმავე დღეს გადამუშავების შემთხვევაში ხარისხიანი პარკის რაოდენობა შემცირდა 0,5%-ით, გამოშრობამდე 3 დღით დაყოვნების შემთხვევაში 1%-ით. ოჩამჩირის ბაზაში შესაბამისად—1,29 და 3,33%-ით.

ცოცხალი პარკის პარტიის ცალკეული ხარისხის პროცენტული შემადგენლობის მკვეთრი სხვაობა ამავე პარტია ჰაერმშრალ პარკის ხარისხების პროცენტულ შემადგენლობასთან მხოლოდ პირველადი დამუშავების მიზეზით არ აიხსნება, ასეთ შემთხვევაში მხედველობაში მიღებული უნდა იყოს ლაბორანტის სწორი მუშაობა და ჰაერმშრალი პარკის შენახვის პირობები მრეწველობაზე ჩაბარებამდე.



УДК 638.22

ბ. ნიკოლეიშვილი, ბ. ბარამიძე,  
ლ. აფხაზავა, რ. ჯალაღანიძე

**მეაბრეშუმეობის კონსენსირება და მისი ეკონომიკური  
ეფექტიანობა**

მეაბრეშუმეობის განვითარებას განსაკუთრებული ყურადღება მიე-  
ქცა საბჭოთა ხელისუფლების წლებში და მნიშვნელოვანი წარმატებები  
იქნა მოპოვებული. მიუხედავად დიდი სიმწვანებისა, აღდგენით პერიოდში  
ყოველწლიურად მზადდებოდა საშუალოდ 1967 ტ პარკი, პირველ  
ხუთწლედში—2073 ტ, ხოლო მეორე ხუთწლედში—2712 ტ.

ომისწინა პერიოდში კიდევ უფრო გაფართოვდა სამეცნიერო-კვლევითი  
მუშაობა, ამალდა მეაბრეშუმეობის კულტურა და მნიშვნელოვნად  
გაიზარდა პარკის მოსავლიანობა და საერთო წარმოება ასე, მაგალითად,  
1939 წელს რესპუბლიკის მეაბრეშუმეობა 97615 კოლოფი აბრეშუმის  
ქია გამოკვებეს, თითოეული კოლოფიდან 42,5 კგ პარკი მიიღეს და 4142  
ტ პროდუქცია აწარმოეს.

უნდა აღინიშნოს, რომ 1933—1940 წლებში მეაბრეშუმეობის საერთო  
პროდუქციის მატება ძირითადად პარკის მოსავლიანობის გადიდების  
ხარჯზე მიმდინარეობდა, ხოლო მომდევნო წლებში ეს კანონზომიერება  
ხშირად ირღვეოდა.

მართალია, ომისშემდგომ პერიოდში პარკის წარმოების გადიდებას  
დიდი ყურადღება ექცეოდა, მაგრამ 1939 წელს მიღწეული დონე, მხოლოდ  
1964 წელს იქნა გადაჭარბებული. ამასთან, პარკის საერთო წარმოება  
გაიზარდა არა მოსავლიანობის გადიდებით, არამედ მეაბრეშუმეობაზე  
გაცემული ჰერციკის კოლოფების რაოდენობრივი მატების ხარჯზე და დარგის  
ინტენსიფიკაციის დონე თანდათანობით შემცირდა. ასე, მაგალითად,  
1946—1965 წლებში განმეორებით გამოკვებაზე გრენის რეალიზაციის  
გეგმა შესრულდა 235,9%-ით, ხოლო პარკის მოსავლიანობა 72%-ით. სა-  
კვები ბაზის სიმცირის და სხვა ობიექტური პირობების გაუთვალისწინე-



ბლად განმეორებით გამოკვებაზე გასაცემი ჭიის კოლოფების რაოდენობრივი გადიდებით ბევრ კოლმეურნეობაში პარკის მოსავლიანობა, ვიდრე დაბალი იყო, რომ მისი რეალიზაციით მიღებული შემოსავლები შეეძენის ხარჯებსაც ვერ ფარავდა.

პარკის მოსავლიანობა გაუმართლებლად დაბალი იყო არა მარტო განმეორებით, არამედ გაზაფხულის გამოკვებაზეც. ასე, მაგალითად, 1951—1965 წლებში რესპუბლიკის მეაბრეშუმეებმა თითოეული კოლოფი ჭიიდან მიიღეს საშუალოდ 32,7 კგ პარკი, ხოლო 1966—1970 წლებში 32,8 კგ. მართალია შემდგომ პერიოდში გატარებულ ღონისძიებათა შედეგად პარკის მოსავლიანობა ერთგვარად გაიზარდა, მაგრამ 1977 წელს მიღწეული ღონე (37,43 კგ) საშუალო-საკავშირო მაჩვენებლებზე მაინც ნაკლები იყო 30,2%-ით.

ასეთი ჩამორჩენა მით უფრო გულსატკენია, რომ აღრიხდელ წლებში ჩვენი რესპუბლიკა წარმოადგენდა კულტურული მეაბრეშუმეობის კერას საბჭოთა კავშირში და წამყვანი ადგილი ეკავა პარკის მოსავლიანობითაც. მომდევნო პერიოდში კი მოწინავე-პოზიციები თანდათანობით დავთმეთ და ბევრად ჩამოვრჩით არა მარტო მეაბრეშუმეობის ძირითად რესპუბლიკებს, არამედ საშუალო-საკავშირო მაჩვენებლებსაც. ასე, მაგალითად, საქართველოს სს რესპუბლიკას 1928 წელს საბჭოთა კავშირში რეალიზებული გრენის საერთო რაოდენობაში ეკავა 19,2%, ხოლო წარმოებულ პროდუქციაში 21,9%. 1940 წელს შესაბამისად 17,0 და 18<sup>0</sup>/<sub>10</sub>, ხოლო 1976 წ. 5,9 და 4,0%.

ეს იმას ნიშნავს, რომ ომამდელ პერიოდში, მეცნიერების უახლესი მიღწევების და ჭიის კვების პროგრესული მეთოდების წარმოებაში დანერგვით თითოეული გრამი ჭიიდან პარკის უფრო მაღალ მოსავალს ლებულობდნენ საქართველოში, ვიდრე საშუალოდ საბჭოთა კავშირში. ჰომდევნო წლებში კი მდგომარეობა შეიცვალა. სახელდობრ, შუა აზიის რესპუბლიკებსა და აზერბაიჯანში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა, წარმოებაში დაინერგა აბრეშუმის ჭიის მაღალპროდუქტიული ჯიშები, უფრო სრულყოფილად გამოიყენეს პარკის მოსავლიანობის გადიდების რეზერვები და მოწინავე პოზიციები დაიკავეს, ხოლო ჩვენ გარკვეულად ჩამოვრჩით. ამის მრავალი მიზეზი არსებობდა, მაგრამ ჩვენი შეხედულებით ჩამორჩენის საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა აბრეშუმის ჭიის გამოკვების პროგრესული მეთოდების შეუფასებლობამაც, რის გამოც დიდად შეფერხდა მეაბრეშუმეობაში მეცნიერების უახლესი მიღწევების დანერგვა და დარგის ინტენსიფიკაციის რელსებზე გადაყვანა. ამას დაემატა ისიც, რომ დასავლეთ საქართველოში 1964 წლიდან ფართოდ გავრცელდა თუთის დაავადება—წვრილფოთოლა სიხუჭუჭე, რა მიზეზითაც განადგურდა საკვები ბაზის

70% და პარკის წარმოება შემცირდა 65%-ით. ნედლეულის უკმარისობამ სერიოზული სიძნელები შეუქმნა სააბრეშუმო მრეწველობას.



სწორედ ამიტომ იყო, რომ საქართველოს კბ ცენტრალურმა ტექმა და მინისტრთა საბჭომ უკანასკნელ წლებში მიიღეს ვენელოვანი დადგენილებები მეაბრეშუმეობის მდგომარეობის ძირეულა გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ, რამაც დიდი როლი შეასრულა.

საქართველოს კბ ცკ-ისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 18 ივნისის დადგენილებაში მეაბრეშუმეობის დარგის სამეცნიერო დაწესებულებებისა და წარმოების მუშაკთა წინაშე დასახულია მეაბრეშუმეობის დაჩქარებული განვითარების, მისი სამრეწველო საფუძველზე გადაყვანისა და წარმოებაში სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებული დანერგვის უდიდესი ამოცანები.

აღნიშნული დადგენილების შესასრულებლად პარტიული და სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელობით წარმოების მუშაკებმა და მეცნიერებმა ნაყოფიერად იშრომეს და ნამდვილად ბევრი რამ გააკეთეს. მაგრამ ერთგვარი მიღწევების მიუხედავად მეაბრეშუმეობის განვითარების საქმეში კვლავ არის სერიოზული ნაკლოვანებები.

ძალზე ნელა ინერგება წარმოებაში მეცნიერების უახლესი მიღწევები და აბრეშუმის ჰიის გამოკვების პროგრესული მეთოდები, უკიდურესად დაბალია მექანიზაციის დონე, არ იყენებენ ხელოვნურ ცახებს, სრულიად მოუწესრიგებელია ჯიშის სარგავი მასალის გამოზრდის საქმე, თუთის პლანტაციები ირგვება მამაბაბური წესით 3 X 3 მეტრზე და არავინ ზრუნავს მისი ინტენსიური ფორმებით შეცვლაზე, უკიდურესად მალალია პლანტაციების მეჩხეთიანობა და უხეშად ირღვევა მათი შოვლის აგროწესები, შეუწყნარებლად ხანგრძლივდება ნარგაობის ექსპლუატაციაში შესვლის ვადები, თითქმის მთლიანად უყურადღებოდაა მიტოვებული უჯიშო ნარგაობის ვარჯში ჯიშის კვირტით გადამყნობის საკითხი, დღემდე არაა გაშენებული საჭირო რაოდენობით სათესლე-სადედე და საკალმე-სადედე პლანტაციები, ნაკლები ყურადღება ექცევა თუთის ბუნებრივი მასივების რაციონალურ გამოყენებას, გაუმართლებლად მალალია პარკის თვითღირებულება, უხეშად ირღვევა მისი გაანგარიშების მეთოდია, მეაბრეშუმეობა ზარალით არის წარმოდგენილი ყველა საზოგადოებრივ მეურნეობაში. სათანადო ღონისძიებები არ ტარდება მეაბრეშუმეობაში სპეციალიზაციის თანმიმდევრული გაღრმავების, კონცენტრაციის და დარგის ინტენსიფიკაციის რეკლებზე გადაყვანის მიმართულებით. ნელი ტემპით მიმდინარეობს მუშაობა მეაბრეშუმეობაში სამეურნეობათაშორისო და აგროსამრეწველო გაერთიანებების ჩამოყალიბების მიზანშეწონილობის დასადგენად.

საქართველოს კბ ცკ 1978 წლის XII პლენუმზე აღინიშნა, რომ უკანასკნელ პერიოდში „მძიმე მდგომარეობა შეიქმნა მეაბრეშუმეობაში, 7. შრომები, ტ. 111, 1979.

რამდენიმე წლის წინათ მიღებული იყო სპეციალური გადაწყვეტილება მისი საეკები ბაზის აღდგენის შესახებ. დასახული ღონისძიებანი ძოვითა დადარულდება. მაგრამ ისინი საქმარისი არ გამოდგა ამერიკინდუაჩი დარგის სრული აღდგენისათვის. როგორც ჩანს, საქართველოს კომიტეტის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მთავრობამ საბოლოოდ უნდა დაამუშაონ მეაბრეშუმეობის შემდგომი განვითარების ყველა საკითხი<sup>1</sup>. საქართველოს მეაბრეშუმეობისათვის ძველი დიდების დაბრუნება მოითხოვს მუშაობის ძირულ გაუმჯობესებას და დარგის მეცნიერულ საფუძველზე წარმართვას.

განვითარების ახლანდელ ეტაპზე საქართველოს მეაბრეშუმეობას ახასიათებს წარმოების კონცენტრაციის და ინტენსიფიკაციის უკიდურესად დაბალი დონე. ჩვენი შეხედულებით სწორედ ესაა იმის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი, რომ ჯერ კიდევ დაბალია შრომის ნაყოფიერება და მაღალია პარკის თვითღირებულება.

რესპუბლიკის კოლმეურნეობების საშუალო მონაცემებით 1966—1970 წწ. 1 ც პარკის თვითღირებულება შეადგენდა 495,2, 1971—1975 წწ. 613,4, 1976 წ. 711,9, ხოლო 1977 წ. 757,3 მანეთს. პარკის მაღალ თვითღირებულების მიზეზით ყოველ ტონა პარკზე გაანგარიშებით საზოგადოებრივი მეურნეობების ზარალი შეადგენდა შესაბამისად 2792, 1489, 1469 და 1829 მანეთს. მითითებულ პერიოდში პარკის თვითღირებულებაში ყველაზე მაღალი (84-88%) ხვედრითი წონით არის წარმოდგენილი შრომის ანაზღაურების ხარჯები. ეს იმაზე მიუთითებს, რომ აბრეშუმის ჭიის გამოყვება ეწყობა წვრილ პარტიებად კერძო ბინებში და მექანიზაციის საშუალებებს არ იყენებენ.

საქართველოს კვ ცკ-ის 1978 წ. IX პლენუმმა მეცნიერული სიღრმით განიხილა სამეურნეობათაშორისო კოოპერაციისა და აგრარულ-სამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციის და კონცენტრაციის პრობლემები. განსაზღვრა ჩვენი რესპუბლიკის მრავალდარგობრივი სოფლის მეურნეობის თვისობრივად ახალ ეტაპზე გადასვლის ძირითადი მიმართულებანი და შეიმუშავა სპეციალიზაციის გაღრმავების, კონცენტრაციის და ინტენსიფიკაციის ღონის ამალღების ღონისძიებანი. პლენუმის გადაწყვეტილებათა პრაქტიკულ განხორციელებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მეაბრეშუმეობის შემდგომი აღმავლობისათვის.

საქმე იმაშია, რომ მიუხედავად საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის და მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 18 ივნისის და მანამდე მიღებული მრავალი დადგენილებისა, აბრეშუმის ჭიის გამოყვება თითქმის

<sup>1</sup> გაზეთი „სოფლის ცხოვრება“, 1978 წ. 20 ივნისი, № 170.

მთლიანად მეაბრეშუმეთა ინდივიდუალურ ბინებში ეწყობა წვრილ ბარ-  
ტიებად, რაც უკიდურესად აფერხებს მის ინტენსიფიკაციას.

მეაბრეშუმეობაში კონცენტრაციის დონის თანდათანობრივ მატებას  
ბის მიზნით, აღნიშნული დადგენილებით ყველა რაიონში ტექნიკური  
აბრეშუმის ჭიის საჩვენებელი გამოკვება მექანიზებულ საწყისებზე, თუმცა  
ამ მიმართულებით ჭერჯერობით პრაქტიკული ნაბიჯები არ არის გადა-  
დგმული.

ჩვენს ქვეყანაში, მეაბრეშუმეობის კონცენტრაციის და ინტენსიფიკა-  
ციის ეკონომიკური ეფექტიანობის შესწავლის საფუძველზე მიღებული  
გამოცდილება უკვე პრაქტიკულად ინერგება წარმოებაში. უკანასკნელ  
პერიოდში უკრაინის სს რესპუბლიკაში ჩამოყალიბდა 30-ზე მეტი მეა-  
ბრეშუმეობის სპეციალიზებული საბჭოთა მეურნეობა, უზბეკეთის სსრ-  
ში-14 სპეციალიზებული საბჭოთა მეურნეობა-საგრენეო ქარხანა, ხოლო  
საქართველოს სსრ-ში სპეციალიზებული თუთის სანერგე მეურნეობები  
და ზორციელდება რიგი სხვა ღონისძიებანი. დარგის სამრეწველო საფუ-  
ძველზე გადაყვანის მიზნით უზბეკეთში უკვე მუშაობს მეაბრეშუმეობის  
სპეციალური საკონსტრუქტორო ბიურო და სხვ.

მართალია ახალი ტექნოლოგიით წარმოებული პარკის ხვედრითი  
წონა საერთო პროდუქციაში ჭერჯერობით მცირეა, მაგრამ როგორც  
მარქსი მიუთითებდა „ეკონომიურ ეპოქებს ერთმანეთისაგან განასხვა-  
ვენს არა ის თუ რა იწარმოება, არამედ ის, თუ როგორ, შრომის რა სა-  
შუალებით იწარმოება, შრომის საშუალებანი არა მარტო საზომია ადამიან-  
ის სამუშაო ძალის განვითარებისა, არამედ მაჩვენებელიცაა იმ საზოგადო-  
ებრივი ურთიერთობისა, რომელშიც შრომა სწარმოებს“<sup>1</sup>.

მეაბრეშუმეობის კონცენტრაცია მაღალ ეკონომიკურ ეფექტს იძლე-  
ვა არა მარტო სპეციალიზებულ მეურნეობებსა და კომპლექსებში, არამედ  
ე. წ. „მცირე მექანიზაციის“ ბაზაზე მოწყობილ ცენტრალიზებული გამო-  
კვების შემთხვევაშიც. რომ არაფერი ვთქვათ ბიოლოგიური უპირატესო-  
ბების შესახებ, ცენტრალიზებული გამოკვების უპირატესობა იმაში მდგო-  
მარეობს, რომ პირველი ორი ასაკის 5—6 კოლოფ ჭიის შეიძლება მოუა-  
როს 1 მეაბრეშუმემ, რაც 30—35%-ით ამცირებს შრომით დანახარჯებს.  
თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ცენტრალიზებული გამოკვების შემ-  
თხვევაში ინდივიდუალურთან შედარებით ნაკლებია ჭიის დანაკარგები,  
შემცირებულია აგრეთვე საწვავის ხარჯვა და, რაც მთავარია, შეიძლება  
მექანიზაციის საშუალებათა შეუფერხებელი გამოყენება, მისი ეკონომი-  
კური ეფექტიანობა ნათელი იქნება.

აბრეშუმის ჭიის გამსხვილებული გამოკვების რაციონალური მოწყობა  
სოციალისტური მეაბრეშუმეობის უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარ-  
-

<sup>1</sup> კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. 1, გვ. 230.

მოადგენს. მეცნიერულ საფუძველზე მოწყობილი გამსხვილებული გამოკვებების უპირატესობა ისაა, რომ მნიშვნელოვნად იზრდება პარკის მოსავლიანობა, უმჯობესდება ხარისხი, რაციონალურად გამოიყენება საფუძვლიანი ძალა, გეგმიანად მიმდინარეობს ჰიის კვების პირველ ასაკში მოხერხებული ფალი მუშახელის სხვა სამუშაოზე გადაყვანა, ხოლო ბოლო ასაკში — დამატებით მუშახელის მოთხოვნის დაკმაყოფილება, გაადვილებულია კონტროლი, მნიშვნელოვნად მცირდება შრომის დანახარჯები და რაც მთავარია ფართო შესაძლებლობა იქმნება მექანიზაციის დონის ამაღლებისა და მეცნიერების უახლესი მიღწევების წარმოებაში დანერგვისათვის. ზემოაღნიშნული ხელს უწყობს შრომის ნაყოფიერების ზრდას, პარკის თვითღირებულების შემცირებას და რენტაბელობის ამაღლებას. თუთის აბრეშუმხვევის გამსხვილებული გამოკვების უპირატესობა ნათლად ჩანს პირველ ცხრილში მოტანილი მასალებიდან.

ცხრილი 1

თუთის აბრეშუმხვევის განსხვავებული რაოდენობით გამოკვების შემთხვევაში შრომითი დანახარჯების მაჩვენებლები (1 კოლოფზე გაანგარიშებით)

გამოკვების დასახელება	დროის დანახარჯები		ეკონომია	
	საათი	კაცდღე	კაცდღე	%
ინდივიდუალური (1 კოლოფი)	387	55,1	—	—
რგოლური (3 კოლოფი)	270	38,5	16,6	30
გამსხვილებული (10—15 კოლოფი)	242	33,6	21,5	40

როგორც ვხედავთ, აბრეშუმის ჰიის გამსხვილებული გამოკვება დაახლოებით 40% ამცირებს შრომით დანახარჯებს, ინდივიდუალურ გამოკვებასთან შედარებით; ეს იმას ნიშნავს, რომ გამსხვილებული გამოკვება შრომის სწორი ორგანიზაციის პირობებში წარმოადგენს დარგის ინტენსიფიკაციის რელსებზე გადაყვანის უმნიშვნელოვანეს პირობას. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ასეთი გამოკვების ჩატარება ჩვენი რესპუბლიკის საზოგადოებრივი მეურნეობისათვის უფრო ხელმისაწვდომია, ვიდრე კომპლექსების და ავტომატური ხაზების მოწყობა. ამასთან იგი გვაძლევს საშუალებას თითქმის ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში განვახორციელოთ შიდამეურნეობრივი სპეციალიზაციის გაღრმავება, ავამაღლოთ კონცენტრაციის დონე და მოვამზადოთ პირობები დარგის სრულ სამრეწველო საფუძველზე გადაყვანისათვის.

ოპტიმალურ ფარგლებში მეაბრეშუმეობის კონცენტრაციის ეკონომიკური ეფექტიანობა ნათლად მელანდება აბრეშუმის ჰიის ინდივიდუალურ ბინებში გამოკვების შემთხვევაშიც. ეს კანონზომიერება შეიმ-

ჩნევა როგორც რაიონების, ისე სოფლის მეურნეობის საწარმოო სტრუქტურის ზონების და რაიონის შიგნით კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების სათანადო მასალების ურთიერთშეფარებას უწყობს. ასე, მაგალითად: ლაგოდეხის რაიონში აწარმოებენ 16 კოლმეურნეობა გორში—12, ხოლო მახარაძეში—24. მეაბრეშუმეობაში კონცენტრაციის ეფექტიანობის დადგენის მიზნით კოლმეურნეობები ჩვენ დავაჯგუფეთ დარიგებული ჭიის კოლოფების რაოდენობის, მეაბრეშუმეების დატვირთვის, თუთის პლანტაციების და ზოგიერთი სხვა მაჩვენებლის მიხედვით.

კოლმეურნეობების აბრეშუმის ჭიის კოლოფებით დატვირთვის, პარკის მოსავლიანობაზე; თვითღირებულებასა და ფულად შემოსავალზე გავლენის ამსახველი მასალები წარმოდგენილია მეორე, მესამე და მეოთხე ცხრილებში.

როგორც მე-2 ცხრილიდან ჩანს ლაგოდეხის რაიონში პირველ ჯგუფში გაერთიანდა კოლმეურნეობები, რომლებიც კვებადღენ 150-დან 200 კოლოფამდე ჭიას, მეორე ჯგუფში—201-დან 300 კოლოფამდე, მესამე ჯგუფში 301-დან 400 კოლოფამდე, ხოლო მეოთხე ჯგუფში 400 კოლოფს ზევით.

პირველი ჯგუფის კოლმეურნეობაში მეაბრეშუმეობის ხვედრითი წილი მთლიან სასაჭონლო პროდუქციაში შეადგენდა 3,38%, ხოლო მეცხოველეობისაში 14,3%, მეოთხე ჯგუფში კი იგი უდრიდა შესაბამისად 6,8 და 34,8%-ს. აღნიშნული მაჩვენებლები გორის და მახარაძის რაიონებისათვის განსხვავებულია, რაც მეაბრეშუმეობის დაბალი კონცენტრაციითაა გამოწვეული. კონცენტრაციის გავლენას პარკის მოსავლიანობასა და სხვა მაჩვენებლებზე მითითებული რაიონების მაგალითიც ნათლად ადასტურებს, როგორც ცხრილში მოტანილი მასალებიდან ჩანს ლაგოდეხის რაიონში პირველი ჯგუფის კოლმეურნეობებში 1 კოლოფი ჭიიდან პარკის მოსავლიანობა შეადგენდა 34,6 კგ, მეორეში—40,2 კგ, მესამეში—41,9 და მეოთხეში—42,0 კგ-ს, ამასთან პირველი ჯგუფის თითოეული კოლმეურნეობა აწარმოებდა 59,5 ც პარკს, ხოლო მეოთხე—226,2 ც-ს.

პირველი ჯგუფის კოლმეურნეობებმა (ცხრ. 3) თითოეულ კოლოფ ჭიაზე გაანგარიშებით მიიღეს 178,9 მანეთი, მესამე ჯგუფის 215,7, ხოლო მეოთხე ჯგუფისამ—221 მანეთი. 1 ც პარკზე გაანგარიშებით ფულადი შემოსავალი მეორე და მესამე ჯგუფში უფრო მცირე იყო, ვიდრე პირველში, ხოლო მეოთხეში იგი 3,3%-ით აღემატებოდა მას. ეს იმაზე მითითებს, რომ კონცენტრაციის ოპტიმალურ ფარგლებში პარკის მაღალ მოსავლიანობასთან ერთად, უმჯობესდება მისი ხარისხობრივი შემადგენლობა და იზრდება ფულადი შემოსავალი. გორის რაიონში კოლმეურნე-



სამკურნალო უბანების განვითარების კონკრეტული საკითხი საქართველოში  
(1977 წ.)

საქართველოს სსრ-ის  
სტატისტიკის ეროვნული სამსახური

რაიონი	კვდ. №	განვითარების მიმართულება (კატეგორია)	სამკურნალო უბანების საერთო რაოდენობა		სამკურნალო უბანების რაოდენობა	სამკურნალო უბანების ფართობი (კვადრატული მეტრი)		სამკურნალო უბანების მოსახლეობის რაოდენობა		სამკურნალო უბანების მოსახლეობის სიმჭიდროვე	
			მთლიან	სამკურნალო უბანების		საერთო	სამკურნალო უბანების	საერთო	სამკურნალო უბანების	მ.	%
თბილისი	I	151-დან 200-მდე	3,0	14,3	2	340,4	171,3	119,0	59,5	34,6	107
	II	201-დან 300-მდე	4,2	19,1	1	321,3	221,3	89,0	8,0	40,0	116,2
	III	301-დან 400-მდე	5,4	26,4	2	708,7	400,3	216,0	147,3	41,9	121,0
	IV	400-ზე მეტი	6,3	34,3	11	6000,8	3405,5	2600,0	2162	42,0	121,4
კობი	I	10-20	0,2	1,0	6	127,7	17,5	3926	562,2	32,0	110
	II	20-40	0,7	1,7	6	106,1	27,7	5371	893,1	32,4	101,3
შენაბდი	I	1-50	—	—	9	325	26,1	13797,1	1533,0	45,2	100,0
	II	51-100	—	—	11	827,5	73,2	34368,8	3134,4	41,5	87,7
	III	101-150	—	—	4	497,5	124,4	20490,-	5120,2	45,1	87,0



ობების აბრეშუმის ჰით 20 კოლოფიდან 40 კოლოფამდე დატვირთვის დროს უკეთესი მაჩვენებლებია მიღებული, ვიდრე 10-დან 20 კოლოფამდე დატვირთვის შემთხვევაში. მახარადის რაიონში უკეთესი შედეგები მიიღო იმ კოლმეურნეობებმა, რომლებიც 50 კოლოფამდე ჰიას კვებავდნენ. ეს არის დროებითი მოვლენა, რაც საკვები ბაზის უკმაყოფილებას ვერცხვავს პირობებულ და პერსპექტივაში იგი მნიშვნელოვნად შეიცვლება. საერთოდ მოტანილი მასალები იმას ადასტურებს, რომ თანამედროვე ეტაპებზე

ც ა ა ბ ლ 3

აბრეშუმის ჰიის გამოყვების კონცენტრაციის გავლენა ფულად შემოსავალზე (1977 წ.)

რაიონი	ჯგუფი	ფულადი შეოსავალი (ათას მან.)		მოდის (მანეთობით)			
		სულ	ერთ კოლოფზე	ერთ კოლოფზე	%	1 ც პარკზე	%
ლაგოდეხი	I	61,4	80,7	178,9	100,0	516,2	100,0
	II	45,1	45,1	203,9	113,9	506,4	98,1
	III	152,4	76,2	215,7	120,5	574,9	99,7
	IV	128,0	83,0	221,0	123,0	533,7	103,3
გორი	I	18,9	2,8	157,3	100,0	482,3	100,0
	II	28,0	4,7	169,0	107,4	523,0	108,4
მახარადე	I	73,1	8,1	225	100	529,9	100
	II	184,4	16,8	222,8	99,0	536,6	101
	III	107,1	26,9	215,5	95,8	523,4	98,7

ც ბ რ ი ლ 4

აბრეშუმის პარკის წარმოების კონცენტრაცია და თვითღირებულების მაჩვენებლები

რაიონი	ჯგუფი	თვითღირებულება		თვითღირებულება შემცირდა - გაიზარდა + (%)
		მანეთი	%	
ლაგოდეხი	I	516,0	100	—
	II	548,4	106,2	+32,4
	III	536,4	104,5	+23,4
	IV	537,0	104,0	+21,0
გორი	I	1377,0	100,0	—
	II	1383,0	100,4	+0,4
	III	—	—	—
	IV	—	—	—
მახარადე	I	1047,7	100,0	—
	II	1042,0	99,5	-1,5
	III	1074,0	102,5	+2,5
	IV	—	—	—

ზე ყველა რაიონს და საზოგადოებრივ მეურნეობებს მეაბრეშუბეობაში სპეციალიზაციის გაღრმავების და ოპტიმალური დატვირთვის განხორციელებული მაჩვენებლები აქვს, რაც გათვალისწინებული უნდა იქნეს ქვემოთ მოხსენიებულ ლაგოდეხის რაიონში პარკის თვითღირებულება (საშუალო) ჯერჯერობა ჯგუფში შეადგენს 516 მანეთს, ხოლო მომდევნო ჯგუფებში უფრო მაღალია, თუმცა მესამე და მეოთხე ჯგუფში იგი კანონზომიერად მცირდება. პარკის თვითღირებულების შედარებით უსისტემო ცვალებადობა როგორც ლაგოდეხის, ისე გორისა და მახარაძის რაიონის კოლმეურნეობებში ძირითადად სუბიექტური მიზეზებითაა გამოწვეული, რაც აღრიცხვის უზუსტობაში გამოიხატება.

პარკის თვითღირებულების გაანგარიშების საქმეში არსებული ნაკლოვანებების განხილვა ამჯერად ჩვენს მიზანს არ შეადგენს და ნათქვამით დავკმაყოფილდებით.

როგორც წარმოდგენილი მასალების ანალიზით დასტურდება, აბრეშუმის პარკის წარმოების გაღრმავებისა და დარგის რენტაბელობის ამაღლებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სპეციალიზაციის გაღრმავებას და კონცენტრაციის ოპტიმალური სიდიდის განსაზღვრას, კოლმეურნეობების, რაიონების და სოფლის მეურნეობის საწარმოო სპეციალიზაციის ზონების თავისებურებათა გათვალისწინებით.

---



UDK 638.2

ბ. ნიკოლეიშვილი, ვ. ტაბლიაშვილი

**მეამბეზურებოვანი გამომუშავების პროგრესული ნორმების დადგენის  
საკითხისათვის**

მიმდინარე ხუთწლედში კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შრომის ნაყოფიერება უნდა გაიზარდოს 27—30%-ით და მნიშვნელოვნად შემცირდეს პროდუქციის თვითღირებულება. შრომის ნაყოფიერების გადიდებაზე მოქმედ ფაქტორთა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს შრომის ორგანიზაციის სრულყოფას და მეცნიერულად დასაბუთებული პროგრესული ნორმების დადგენას.

გამომუშავების ნორმა არის სამუშაოს ან მზა პროდუქციის ის რაოდენობა, რომელიც მოცემულ საწარმოო პირობებში უნდა შეასრულოს ერთმა კეთილსინდისიერმა მომუშავემ ან მომუშავეთა ჯგუფმა ერთ სამუშაო დღეში ან დროის გარკვეულ (საათებში, ცკლაში) მონაკვეთში.

განვითარების ახლანდელ ეტაპზე აბრეშუმის ქვის გამოკვების საქმეში მექანიზაციის დონის თანმიმდევრული ამაღლების და ზოგიერთ სამუშაო პროცესში ავტომატიზაციის ელემენტების შეტანის პარალელურად გამომუშავების მოქმედი ნორმები უნდა შეიცვალოს ახალი, მეცნიერულად დასაბუთებული პროგრესული ნორმებით. გამომუშავების პროგრესული ნორმების დადგენა უაღრესად მნიშვნელოვანი საქმეა დამამუშაველი პასუხისმგებლობით უნდა მოვეციდეთ. მეცნიერულად დასაბუთებული გამომუშავების პროგრესული ნორმების დადგენისათვის აუცილებელია წარმოების საერთო პირობების ღრმა ცოდნა და გამომუშავების ნორმაზე მოქმედი ფაქტორების დეტალური ანალიზი. მეცნიერულად დასაბუთებული გამომუშავების პროგრესული ნორმების დადგენის მიზნით საჭიროა დაკვირვება ვაწარმოოთ არა მარტო წარმოების ნოვატორებზე, არამედ საშუალო კვალიფიკაციისა და დახელოვნების ადამიანებზეც. ეს მით უფრო აუცილებელია, რომ ისინი თითქმის ყოველთვის სკარბობს როგორც მოწინავე, ისე საშუალოზე ნაკლებ დახელოვნების ადამიანთა რაოდენობას და მომუშავე პერსონალის ძირითად ნასას შეადგენს.

ასეთი პირობებში ჩატარებული დაკვირვების საფუძველზე დადგენილი გამომუშავების პროგრესული ნორმები ცხადია უფრო ზუსტად ასახავს ტექნიკის განვითარების და მომუშავეთა კვალიფიკაციის ამაღლების ფაქტიურ მდგომარეობას. და ხელს უწყობს შრომის ნაყოფიერების ზრდას. სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებზე ტექნიკური ნორმირება უნდა ჩატარდეს შემდეგი თანმიმდევრობით: 1. შრომის პროცესის და მასზე მოქმედი პირობების ზეგავლენის შესწავლა სამუშაო დროის საუკეთესო რეჟიმის დასადგენად. 2. შეცნიერულად დასაბუთებული გამომუშავების ნორმების დადგენა წარმოების პირობების გათვალისწინების საფუძველზე. 3. ახალი, საშუალო პროგრესული ნორმების და შრომის ორგანიზაციის საუკეთესო ღერებების დანერგვა წარმოებაში. ტექნიკური დანორმების საშუალებით გამომუშავების ნორმების დადგენისათვის საჭიროა: სამუშაო პროცესების წინასწარი გაცნობა, მასზე დაკვირვების ჩატარება, მიღებული მასალების დამუშავება, სწორი ანალიზის გაკეთება და განზოგადება. სოფლის მეურნეობაში სამუშაო დროის გამოყენების შესწავლა ძირითადად ხორციელდება სპეციალური დაკვირვების მოწყობით, რისთვისაც სარგებლობენ, როგორც ფოტოგრაფიის, ისე ქრონომეტრაჟისა და ფოტოქრონომეტრაჟის მეთოდით.

თუთის აბრეშუმზევეიას განზოგადებული გამოყვების პირობებში ზოგიერთი სახის სამუშაოზე გამომუშავების ნორმების დასადგენად მუშაობა ჩავატარეთ მცხეთის რაიონის ძალისის ბოსტნეულის მეთესლეობის საბჭოთა მეურნეობაში, ცალკეული სახის სამუშაოებზე გამო-

ცხრილი 1

თუთის აბრეშუმზევეიას გამსხვილებული გამოყვების ზოგიერთი სახის სამუშაოზე გამომუშავების პროგრესული ნორმები

სამუშაოს დასახელება	შრომის ერთეული	გამომუშავების მოქმედი ნორმები	გამომუშავების ნორმების ახალი პროცენტი
შუა აზიის სისტემის პოლიეთილენის ხელოვნური ცახიდან პარკის ნაპერტყულიანად გამოკრეფა ხელით	აბ	—	11,0
ჩამოსხნილი ბუნებრივი ცახიდან (ჯაგრცხილა) პარკის ნაპერტყულიანად გამოკრეფა ხელით და ტარაში მოთავსება	ა-ბ	20—25	22,0
ცახიდან გამოკრეფილი პარკის ნაპერტყულიანად გასუფთავება:			
ა) ხელით	ა-ბ	10,0—10,2	12,0
ბ) პარკსაბეწი	ა-ბ	200—250	350,0
აპარატით რკ-1	ა-ბ	200—250	350,0
ცახიდან პარკის გამოკრეფა, ნაპერტყულისაგან გასუფთავება, ტარაში მოთავსება და აწონვა	ა-ბ	8—9	10,0
ყოლორტსაცდელი მანქანით ფოთლის დამზადება (ელ. ამბრაივი 0,4 კვტ. Пс-1)	ა-ბ	600—700	550,0

მუშეების ნორმების დასადგენად ძირითადად გამოვიყენეთ დაკვირვების ფოტოგრაფიული მეთოდი.

მცხეთის რაიონის ძალისის ბოსტნეულის მეთესლეობის მეურნეობაში აბრეშუმის ჭიის გამსხვილებული გამოკვების სახის სამუშაოზე გამომუშავების პროგრესული ნორმების დადგენის მიზნით დაკვირვება ჩატარდა ჭიის კვების, ნაძირის გამოცლის, ცახების ჩადგმის და მათი ჩამოხსნის, ხელოვნური და ბუნებრივი ცახიდან პარკის გამოკრეფის, პარკის ნაპერტყულისაგან ხელით და შანქანით (პარკსახვევი აპარატი rk-1) გაწმენდის სამუშაოებზე. გამომუშავების პროგრესული ნორმების სწორად დადგენის მიზნით დაკვირვებას ვაწარმოებდით სამ მომუშავეზე, რომელთაც ჰქონდა მოცემული სახის სამუშაოებზე მუშაობის განსხვავებული სტაჟი, კვალიფიკაცია და ასაკი. ცალკეულ მომუშავეზე დაკვირვება მეორდებოდა ორ-სამჯერ. დაკვირვების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ემცეოდა სამუშაოთა შესრულების ხარისხს, საჭირო ინვენტარის ნორმალურ სამუშაო მდგომარეობაში ყოფნას და ყველა იმ ფაქტორების აღრიცხვას, რომლებიც გავლენას ახდენენ გამომუშავების ნორმების სიდიდეზე.

მუშაობის ასეთი მეთოდით შესაძლებელი გახდა თითოეული სახის სამუშაოზე საკმაოდ მდიდარი მასალის შეგროვება, რამაც საშუალება მოგვცა შედარებით ზუსტად დაგვედგინა გამომუშავების პროგრესული ნორმები, რომლის შესახებაც მასალები მოტანილია ცხრილში.



УДК 631:638.2

Э. Д. ШАПАКИДЗЕ, Э. Ф. ЦОЦКОЛАУРИ

### КОНСТРУКЦИЯ И ЭЛЕКТРОСХЕМА УСТАНОВКИ УВШ-1

Новый пятилетний план развития народного хозяйства на 1976—1980 гг. предусматривает перевод шелководства на промышленную основу. Для этой цели необходимо решить целый ряд вопросов в области механизации и автоматизации трудоемких процессов этой отрасли.

